ICMPD
International Centre for
Migration Policy Development

# სახელმძღვანელო მონიტორინგისა და შეფასების შესახებ ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმებისთვის

სახელმძღვანელო მონიტორინგისა და შეფასების შესახებ

სახელმძღვანელო მონიტორინგისა და შეფასების შესახებ ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმებისთვის

მონიტორინგი და შეფასება მნიშვნელოვანია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ნებისმიერი საქმიანობისათვის, რათა შეფასდეს პროექტის, პროგრამის, სტრატეგიის და/ან პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხარისხი და დადგინდეს გრძელვადიანი შედეგები. ის ზუსტი ანგარიშგების საფუძველია და მიღებული გაკვეთილების ან/და არსებული სირთულეების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, რაც სასარგებლოა ახალი პროგრამების დასაგეგმად, ისევე როგორც არსებული პროგრამების შესაცვლელად და დასახვეწად.

სახელმძღვანელო ავსებს 2006 წელს, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მიერ შემუშავებულ, “*ეროვნულ დონეზე ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ყოვლისმომცველი ღონისძიებების სისტემის შემუშავებისა და განხორციელების სახელმძღვანელოს*”. ის პრაქტიკული საშუალებაა, რომელიც გვთავაზობს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების მარტივ პრინციპებს. სახელმძღვანელო აღწერს შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგის და შეფასების ეფექტიანი სტრუქტურების და პროცედურების ჩამოყალიბების დროს გასათვალისწინებელ მნიშვნელოვან საკითხებს. მისი მიზანია, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ მონაწილეთა მხარდაჭერა შეფასების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობით.

ISBN: 978-3-900411-67-1

ICMPD

Project funded by the European Union

# სახელმძღვანელო მონიტორინგისა და შეფასების შესახებ

## ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმებისთვის

ნაშრომის ავტორები:

მარკეტა ფონ ჰაგენი, ჟენევა (შვეიცარია); ჯოანა უილემსი, ჰამბურგი (გერმანია)

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის გუნდი:

ზურაბ ყორღანაშვილი, მარტინ პლუმი, ბრიგიტ სტევკოვსკი, ელისა ტროსერო

საავტორო უფლებები:

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD), 2010

საავტორო უფლებები დაცულია. საავტორო უფლებების მესაკუთრის ნებართვის გარეშე აკრძალულია ამ გამოცემის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაღება, კოპირება ან გადაცემა რაიმე ფორმით ან საშუალებით, ელექტრონულად თუ მექანიკურად, მათ შორის, ფოტოგრაფირება, ჩაწერა ან ინფორმაციის შენახვის და გავრცელების სხვა საშუალებების გამოყენება.

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
გონზაგაგასეს ქ. 1
A-1010 ვენა
ავსტრია
www.icmpd.org

გამოცემა შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი სრულად არის პასუხისმგებელი გამოცემის შინაარსზე და არ გამოხატავს ევროკავშირის მოსაზრებებს.

გარეკანი მომზადებულია Rrota-ს მიერ
გამოცემა დაბეჭდილი და აკინძულია შპს. "ზევს გრუპ"-ის მიერ.

ISBN: 978-3-900411-67-1

# სარჩევი

სარჩევი ....3
დიაგრამები ....5
ცხრილები: წინაპირობა და მექანიზმები....5
აბრივიატურები ....7
შესავალი ....9
როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელო ....11

I ტერმინების განმარტება ....13

II ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა – სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ....21

III მონიტორინგი ადამიანით ვაჭრობის სფეროში – სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ....29

შესავალი....31
შედეგებზე ორიენტირებული მართვა....35
შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგის პრინციპები და წინაღობები....38

IV ეროვნულ დონეზე ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ღონისძიებების სისტემა....45

სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა....47
ეროვნული სამოქმედო გეგმების სტრუქტურა....49

V ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ....61

მონიტორინგის ფაზები ....63

ა) მოსამზადებელი ფაზა....65
რა ....65
როგორ....66
როდის....70
ვინ....70
მოსამზადებელი ეტაპის ძირითადი კითხვები და ნაბიჯები....75

ბ) განხორციელების ფაზა....77
რა ....77
როგორ....77

მონიტორინგის მიმდინარეობის ანგარიში – ნიმუში ....81

როდის....82
ვინ....82
განხორციელების ეტაპის ძირითადი კითხვები და ნაბიჯები....83

გ) ანგარიშგების ფაზა....83
რა....83
როგორ....84
როდის....86
ვინ....87
ანგარიშგების ფაზის ძირითადი კითხვები და ნაბიჯები....87

დ) ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ეროვნული სამოქმედო გეგმის მიმოხილვა....88
რა....88
როგორ....89
როდის....91
ვინ....91
ეროვნული სამუშაო გეგმის მიმოხილვის ძირითადი კითხვები და ნაბიჯები....91

VI ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შეფასება....93

შესავალი....95
რა....95
როგორ....96
როდის....101
ვინ....102

VII მონიტორინგის ცხრილები....103

I მონიტორინგისა და შეფასების გეგმა - ნიმუში....105
II მონიტორინგის მიმდინარე ანგარიში- ნიმუში....109
III მონიტორინგის წლიური ანგარიში - ნიმუში....111

გამოყენებული მასალა....117

დანართი....119
ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ნიმუში....119

# დიაგრამები

დიაგრამა 1: მონიტორინგის და შეფასების ციკლი..............................64

# ცხრილები: წინაპირობა და მექანიზმები

წინაპირობა 1: ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ..........................................................26

წინაპირობა 2: მონიტორინგის და შეფასების დამატებითი როლი ..........................................................................................................32

წინაპირობა 3: ადამიანით ვაჭრობის სფეროში მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმები ..............................................................33

წინაპირობა 4: მონაცემთა შეგროვება და ინფორმაციის მართვის ჰარმონიზებული სისტემა..................................................................41

წინაპირობა 5: ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმები საქართველოში ..........................48

წინაპირობა 6: ჰოლანდიური მოდელი: ადამიანებით ვაჭრობის შესახებ ეროვნული მომხსენებელი ნიდერლანდებში..........................71

წინაპირობა 7: ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სისტემა საქართველოში – მიმოხილვა..............................72

მექანიზმი 1 შედეგების ჯაჭვის ელემენტები ..........................................36

მექანიზმი 2: ტრეფიკინგის მსხვერპლთა რე-/ინტეგრაციის სამაგალითო შედეგების ჯაჭვი.................................................................37

მექანიზმი 3: შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგის და შეფასების სისტემის ჩამოყალიბების ნაბიჯები..........................................43

მექანიზმი 4: ეროვნული სამოქმედო გეგმის ნიმუში. ..........................50

მექანიზმი 5: როგორ ჩამოვაყალიბოთ მონიტორინგის ე.წ. SMART (კონკრეტული, შეფასებადი, მიღწევადი, შესაბამისი და დროში განსაზღვრული) შედეგები და ინდიკატორები ......................51

მექანიზმი 6: რამდენიმე სამაგალითო შედეგი ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროდან ..............................................53

წინაპირობა 7: რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები..........55

მექანიზმი 8: შედეგის და ინდიკატორების ჩამონათვალი..................58

მექანიზმი 9: მონიტორინგის და შეფასების გეგმა – ნიმუში........66

მექანიზმი 10: ტრეფიკინგის მსხვერპლთან ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო პრინციპები ................................................79

მექანიზმი 11: მონიტორინგის მიმდინარე ანგარიში –ნიმუში..........81

მექანიზმი 12: მონიტორინგის წლიური ანგარიში – ნიმუში. ........85

მექანიზმი 13: შეფასების დასახული ამოცანები - შინაარსი........99

მექანიზმი 14: განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის შეფასების 5 კრიტერიუმი .........................................................................100

# აბრევიატურები

| | |
|---|---|
| **DAC** | განვითარების ხელშეწყობის კომიტეტი |
| **EU** | ევროკავშირი |
| **CC** | (მუდმივმოქმედი უწყებათაშორისო) საკოორდინაციო საბჭო |
| **CoE** | ევროპის საბჭო |
| **CRC** | კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ |
| **FMIA** | ავსტრიის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტრო |
| **ICMPD** | მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი |
| **ILO** | შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია |
| **IOM** | მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია |
| **IWG** | საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი |
| **M&E** | მონიტორინგი და შეფასება |
| **MoU** | ურთიერთგაგების მემორანდუმი |
| **NAP** | ეროვნული სამოქმედო გეგმა |
| **NGO** | არასამთავრობო ორგანიზაცია |
| **NRM** | ეროვნული რეფერალური მექანიზმი |
| **NWG** | ეროვნული სამუშაო ჯგუფი |
| **OECD** | ეკონომიური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია |
| **OSCE** | ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია |
| **RBM** | შედეგებზე დაფუძნებული მენეჯმენტი |
| **THB** | ადამიანით ვაჭრობა |
| **TIP** | ადამიანით ვაჭრობა |
| **ToR** | დასახული ამოცანები |
| **UN** | გაერთიანებული ერების ორგანიზაცია |
| **UNDP** | გაეროს განვითარების პროგრამა |
| **UNIAP** | გაერთიანებული ერების უწყებათაშორისო პროექტი ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ |
| **UNODC** | გაერთიანებული ერების ოფისი ნარკოტიკული ნივთიერებების და დანაშაულის საკითხებზე |
| **WHO** | მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია |

# შესავალი

ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო შეიქმნა "სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ყოვლისმომცველი რეაგირების პროგრამების გაძლიერების" პროექტის ფარგლებში. ის განხორციელდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (OSCE) თანამშრომლობით. პროექტს ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირმა და ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუწია.

მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მიზანია გახდეს 2006 წელს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მიერ შემუშავებული, *ეროვნულ დონეზე ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ყოვლისმომცველი ღონისძიებების სისტემის შემუშავებისა და განხორციელების სახელმძღვანელოს* შევსების პრაქტიკული მექანიზმი.

სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოში ჩატარებული შეფასების შედეგებზე დაყრდნობით და მიზნად ისახავს, დაეხმაროს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილეებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ღონისძიებების სისტემის ეფექტიანი მექანიზმების შექმნაში. შედეგებზე ორიენტირებული მენეჯმენტის საფუძველზე, სახელმძღვანელო გვთავაზობს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, გადასინჯვის, შეფასებისა და ანგარიშგების მარტივ სახელმძღვანელო პრინციპებს. უფრო კონკრეტულად, ის ეყრდნობა *ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ყოვლისმომცველი ღონისძიებების სისტემის შემუშავებისა და განხორციელების სახელმძღვანელოს* C. 1.5. და D.1.5. ნაწილებს და დეტალურად აღწერს, თუ როგორ, როდის და ვის მიერ უნდა განხორციელდეს ეფექტიანი გადასინჯვა, მონიტორინგი და შეფასება.

სახელმძღვანელო სრულიად შეესაბამება საერთაშორისო და ევროპის უკანასკნელ სტანდარტებს და ითვალისწინებს ეროვნულ პრაქტიკას. ამასთან, ის განსაზღვრავს მთავრობის კუთვნილების, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისა და მრავალდარგობრივი მიდგომის კონცეფციებს, როგორც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მდგრადი და ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის წინაპირობას.

# როგორ გამოვიყენოთ ეს სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო მიზანად ისახავს გახდეს გზამკვლევი ნებისმიერ პირისთვის,ვინც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებშია ჩართული,განსაკუთრებით მათთვის,ვინც წარმოადგენს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის და სტრატეგიის მაკოორდინირებელ და განმხორციელებელ დაწესებულებას თუ ორგანიზაციას. სახელმძღვანელოში ყურადღება საქართველოზეა გამახვილებული. მიუხედავად ამისა, შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, ის შეიძლება სხვა ქვეყნებისთვისაც იქნეს გამოყენებული. ვინაიდან ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრუქტურები სხვადასხვა ქვეყნებში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, დაინტერესებულმა პირებმა მონიტორინგისა და შეფასების საკუთარი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით აქ აღწერილი სტრუქტურები და კავშირები თავიანთ გარემოს უნდა მოარგონ.

სახელმძღვანელოში განხილულია ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები და საკითხები, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგისა და შეფასების ეფექტიანი სტრუქტურების და პროცედურების ჩამოყალიბებისას.

შესაბამისი ტერმინების განმარტების გარდა, სახელმძღვანელო მოკლედ გვთავაზობს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს. მასში ასევე განხილულია, თუ რას წარმოადგენს მონიტორინგი, ახსნილია განსხვავებები მონიტორინგს, გადახედვასა და შეფასებას შორის და განხილულია შედეგებზე ორიენტირებული მართვისა და მონიტორინგის სახელმძღვანელო პრინციპები.

სახელმძღვანელოში ასევე წარმოდგენილია ეროვნული სამოქმედო გეგმების მონიტორინგის პროცესის სხვადასხვა ფაზები, განმარტებები, თუ რა და როგორ უნდა იქნას მიღწეული. მასში განხილულია დაინტერესებულ პირთა როლი და თითოეული ფაზის სავარაუდო ვადები. თითოეული ფაზის ბოლოს ჩამოყალიბებულია ძირითადი კითხვები და ნაბიჯები, რაც წარმოადგენს შემდგომში განსახილველი, გადასამოწმებელი და გამოსაყენებელი საკითხების ნუსხას. ამიტომ, ეს ნაწილი დაეხმარება საქართველოში ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების სისტემის ჩამოყალიბე-

ბაში მონაწილეებს. გარდა ამისა, შესაძლებელია მისი გამოყენება განხორციელებული ნაბიჯებისა და სისტემების გადასასინჯად. ამით დადგინდება, როგორ შეიძლება მოხდეს პროცესის სრულყოფა, რა უნდა გადაისინჯოს და რომელი მნიშვნელოვანი საკითხები უნდა იქნეს გათვალისწინებული.

სახელმძღვანელოს თითოეულ ცხრილში განხილულია თემები, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც პროცესში გამოსაყენებელი წინაპირობები და კონკრეტული მექანიზმები.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ინფორმაცია საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს ჩამოაყალიბონ წინსვლის შეფასებისა და ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორცილების ეფექტიანი სისტემა საქართველოში. ვინაიდან ზოგადად მონიტორინგი არა სტატიკური, არამედ მიმდინარე პროცესია, ის გვაძლევს შესაძლებლობას, გამოვასწოროთ გეგმის ელემენტები მის განხორციელების დროსაც.

სახელმძღვანელოს აქვს შემდეგი სტრუქტურა:

**ნაწილი 1** განმარტავს სახელმძღვანელოში გამოყენებულ ტერმინებს.

**ნაწილი 2** მიმოიხილავს ადამიანით ვაჭრობის სფეროს სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს

**ნაწილი 3** გაგვაცნობს შედეგებზე დაფუძნებული მონიტორინგისა და მართვის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს.

**ნაწილი 4** განმარტავს ეროვნულ დონეზე ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების სისტემის სტრატეგიასა და საფუძველს.

**ნაწილი 5** ჰყოფს ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესს სხვადასხვა ფაზებად, აყალიბებს თუ რა, როგორ, როდის და ვის მიერ უნდა განხორციელდეს.

**ნაწილი 6** წარმოადგენს შეფასებას მონიტორინგის სისტემის ნაწილად

**ნაწილი 7** წარმოადგენს მონიტორინგის ანგარიშების ნიმუშებს.

# ტერმინების განმარტება

# I

# ტერმინების განმარტება

## ადამიანით ვაჭრობა

საერთაშორისო განმარტებით ადამიანით ვაჭრობა არის: "ადამიანთა გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას." (ადამიანით, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლი, 2000).

## ტრეფიკინგის მსხვერპლი

ტერმინი "ტრეფიკინგის მსხვერპლი" აღნიშნავს ადამიანს, რომელიც კვალიფიცირდება ტრეფიკინგის მსხვერპლად გაეროს პროტოკოლის მე-3 მუხლის და/ან შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. ბევრისთვის ტერმინი "მსხვერპლი" გულისხმობს უმწეობას, ვინაიდან ის ხაზს უსვამს პიროვნების მსხვერპლად ქცევას. თუმცა, ადამიანის უფლებების კუთხით, ტერმინი "მსხვერპლი" მნიშვნელოვანია, რადგან გამოხატავს უფლებების დარღვევას და ამის გამოსწორების ვალდებულებას.

## არასრულწლოვანი/ბავშვი

ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის (1989) განმარტების შესაბამისად ამ სახელმძღვანელოში არასრულწლოვანი ან ბავშვი ეწოდება 18 წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს. ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის მიხედვით, რომელიც ავსებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ (2000) გაეროს კონვენციას, ბავშვის ექსპლუატაციის მიზნით გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა და შეფარება განიხილება "ადამიანით ვაჭრობად" მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება არ მოიცავდეს ამ მუხლის (ა) პარაგრაფით გათვალისწინებულ ნებისმიერ საშუალებას, ანუ მუქარას, ძალის გამოყენებას ან იძულებას სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით, ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი.

## მონიტორინგი

მონიტორინგი არის უწყვეტი, რეგულარული, სისტემური და მიზანმიმართული დაკვირვების, ინფორმაციის შეგროვებისა და ღონისძიებების, პროექტების, პროგრამების, სტრატეგიების და/ან პოლიტიკის ასახვის პროცესი. მონიტორინგი ნიშნავს დაგეგმილი ღონისძიებების მიმდინარეობის შემოწმებას, სირთულეების გამოვლენას და შესაბამისი რეკომენდაციების გაწევას. მონიტორინგის მიზანია, გაუმჯობესდეს ინიციატივის პროდუქტიულობა და ეფექტიანობა და უზრუნველყოფილ იქნეს ღონისძიებების შედეგებში გარდაქმნა. ის მოიცავს პროექტის დონორების, განმახორციელებლების და ბენეფიციარების ინფორმირებას წინსვლის შესახებ. მონიტორინგი ყოველთვის ხორციელდება ღონისძიებების, პროექტების, პროგრამების, სტრატეგიების და/ან პოლიტიკის განხორციელების დროს.

## შეფასება

შეფასება არის მონაცემების სისტემური შეგროვება და ანალიზი, რათა შეფასდეს ღონისძიებების შესაბამისობა, ეფექტიანობა და შედეგი პროექტის მიზნებიდან გამომდინარე. ის მოიცავს პროექ-ტების, პროგრამების, სტრატეგიების და/ან პოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას მათი გაუმჯობესების მიზნით. შეფასება მოიაზრებს პროექტის დონორების, განმახორციელე-ბლებისა და ბენეფიციარების ინფორმირებას ღონისძიებათა მი-მდინარეობის შესახებ. შეფასება, როგორც წესი, ხორციელდება პროგრამის მიმდინარეობის დროს (შუალედური შეფასება) ან დასრულების შემდეგ (საბოლოო შეფასება), რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამაში ცვლილებების შეტანა.

## მიმოხილვა

მიმოხილვა გულისხმობს მოქმედების შეფასებას პერიოდულად ან დაუგეგმავად. მიმოხილვით გამოიყოფა ოპერატიული ასპექტე-ბი. ზოგჯერ ტერმინები "მიმოხილვა" და "შეფასება" გამოიყენება სინონიმებად. (წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობის და გან-ვითარების ორგანიზაციის/დახმარების განვითარების კომიტეტის ტერმინთა და კონცეფციების სარჩევი).

ამ სახელმძღვანელოში ტერმინი მიმოხილვა გამოიყენება ნაკ-ლებად მასშტაბური მნიშვნელობით, ვიდრე შეფასება, რომელიც მიმართულია ღონისძიებების, პროექტების, პროგრამების, სტრატე-გიების ან პოლიტიკის შესაცვლელად, რათა მიღწეული იქნეს დასახული მიზნები.

## მონაწილეობითი მონიტორინგი და შეფასება

მონაწილეობითი მონიტორინგი და შეფასება არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებული პირები ჩართული არიან კონკრეტული პროექტის, პროგრამისა და პოლიტიკის მონიტორინ-გსა და შეფასებაში. ისინი ერთად აკონტროლებენ მონიტორინგის და შეფასების ღონისძიებების შინაარსს, პროცესსა და შედეგებს

და იღებენ შესაბამის ზომებს ხარვეზების გამოსასწორებლად. მონაწილეობა მიზანმიმართულია არა მხოლოდ პროექტის ეფექტიანობის შეფასებისაკენ, არამედ ასევე თანამონაწილეობის შეგრძნების შექმნისაკენ და ბენეფიციარების უფლებამოსილებით აღჭურვისკენ, ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის ჩამოყალიბებისკენ.

## შედეგზე ორიენტირებული მართვა

შედეგეზე ორიენტირებული მართვა არის მართვის ისეთი სტრატეგია, რომელიც ეფუძნება მოქმედებას და პროდუქტის, შედეგის და გავლენის მიღწევას. (წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის/დახმარების განვითარების კომიტეტის შეფასების და შედეგებზე დაფუძნებული მართვის ძირითად ტერმინთა განმარტება)

შედეგებზე ორიენტირებული მართვა გამოჰყოფს სტრატეგიულ ელემენტებს, როგორიცაა შედეგები, პროდუქტი და გავლენა და მათი ურთიერთდამოკიდებულება მრავალი ვარაუდის და რისკის იდენტიფიცირების საფუძველზე. იგი გულისხმობს შესაბამის ინდიკატორთა ჩამოყალიბებას წარმატების და მოქმედების შესაფასებლად. შედეგზე ორიენტირებული მართვა, როგორც სტრატეგიული მიდგომა, შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ანგარიშგების და გადაწყვეტილების მიღებისათვის. (წყარო: იუნესკოს მასალების მიხედვით, 2008 წელი)

## შედეგები

შედეგები არის განხორციელებული ქმედების პროდუქტი, შედეგი (შუალედური ცვლილება) თუ გავლენა (გრძელვადიანი ცვლილება), დაგეგმილი თუ დაუგეგმავი, პოზიტიური და/ან ნეგატიური. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შედეგები ის ცვლილებებია, რაც გამოწვეულია ინტერვენციით განპირობებული მიზეზისა და ეფექტის ურთიერთქმედებით.

## შედეგების ჯაჭვი

შედეგების ჯაჭვი განვითარების მიზეზობრივი თანმიმდევრობაა სასურველი მიზნების მისაღწევად. პროცესი იწყება შეტანილი წვლილით, გრძელდება ქმედებებით და შუალედური შედეგით და სრულდება საბოლოო შედეგებით და განხორციელებული გავლენით (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის/განვითარების ხელშეწყობის კომიტეტის შეფასებისა და შედეგებზე დაფუძნებული მართვის ძირითად ტერმინთა განმარტება). მაგალითისთვის იხილეთ ნაწილი III, მექანიზმი 1-2.

## დადასტურების საშუალება

დადასტურების საშუალება არის რაოდენობრივი ან ხარისხობრივი ინფორმაციის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია შეფასდეს მიღწეულია თუ არა ინდიკატორები და მოხდა თუ არა შედეგების რეალიზაცია.

## ეროვნული სამოქმედო გეგმა

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილეთა (სამთავრობო სტრუქტურები, სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო ორგანიზაციები) შორის პასუხისმგებლობის გადანაწილების და კოორდინირების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ეროვნული სამოქმედო გეგმით უნდა განხორციელდეს ის კონკრეტული მიზნები, რომლებიც განსაზღვრულია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სტრატეგიაში. ის უნდა მოიცავდეს და განსაზღვრავდეს თითოეული ღონისძიების შესრულების პასუხისმგებლობას და ვადებს, აერთიანებდეს რესურსების გეგმას და ბიუჯეტს და შეიცავდეს მონიტორინგის და შეფასების კრიტერიუმებს (მაგალითად ინდიკატორებს).

II

# ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა – სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

# II

## ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა – სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

ადამიანით ვაჭრობის რთული და მრავალმხრივი ფენომენის დასამარცხებლად საჭიროა ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებებს. ამისთვის მნიშვნელოვანია, მოვძებნოთ კომპრომისი ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის აღმკვეთ ხასიათსა და სტრატეგიების ჩამოყალიბებას შორის. პირველი მოითხოვს ადამიანით მოვაჭრეების დასჯას, ხოლო მეორე - ყურადღებას ამახვილებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვაზე, მხარდაჭერაზე, უფლებამოსილების მინიჭებაზე და საზოგადოებაში ჩართვაზე. არსებობს საერთაშორისო კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი ბრძოლა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების, როგორც ცენტრალური ელემენტის, აღქმას. შედეგად, თითოეულმა ქვეყანამ უნდა მიიღოს პოლიტიკური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზომები, რომელიც ხელს შეუწყობს ტრეფიკინგის მრავალი ასპექტებისადმი ეფექტიან, მრავალმხრივ მიდგომას პროცესში ჩართულ მონაწილეებს შორის მრავალდარგობრივ თანამშრომლობის საფუძველზე და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით.

2000 წლის ნოემბერში მიღებული იქნა გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და დამატებითი ოქმი “ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის” შესახებ, როგორც პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ნათლად განსაზღვრავს ტრეფიკინიგს ექსპლუატაციის მიზნით და ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) 2003 წლის სამოქმედო გეგმა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ საერთაშორისო დონეზე არსებული ძირითადი დოკუმენტებია. მათში ჩამოყალიბებული ზომები მოითხოვენ ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ახალი სტრატეგიების მიღებას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. განსაზღვრული იქნა რამდენიმე რეკომენდაცია განსაკუთრებული

დაცვის, დახმარების, რეპატრიაციის და წარმოშობის თუ დანიშნულების ქვეყანაში ტრეფიკინგთან ბრძოლის სპეციალური ერთეულების ჩამოყალიბების სფეროში. ასევე გამოიყო როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური სფერო, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების საშუალება.

ევროკავშირის დონეზე ასეთი დოკუმენტებია ბრიუსელის დეკლარაცია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის და აღკვეთის შესახებ და 2002 წლის 19 ივლისის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება 2002/629/JHA ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მიღებული იქნა 2002 წელს, რამაც საგრძნობლად გააძლიერა ევროკავშირის ჩართულობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში. ევროკავშირის გეგმა, ადამიანით ვაჭრობის აღკვეთის და დაძლევის საუკეთესო პრაქტიკის, სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ, ეყრდნობა ამ მცდელობებს და გვთავაზობს ევროკავშირის ღონისძიებების კოორდინირებასთან, პრობლემის განსაზღვრასთან, აღკვეთასთან, მოთხოვნის შემცირებასთან, გამოძიებასთან და სამართლებრივ დევნასთან, ტრეფიკინგის მსხვერპლის დაცვასა და დახმარებასთან, დაბრუნებასთან, რეინტეგრაციასთან და საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების, კომისიის და ევროკავშირის სხვა ორგაონოების მიერ განსახორციელებელ ნაბიჯებს. 2003 წელს ძალაში შევიდა კომისიის 2003 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება 2003/109/EC, რომლის ეგიდითაც ჩამოყალიბდა საკონსულტაციო ჯგუფი, ეგრედ წოდებული “ადამიანით ვაჭრობის შესახებ ექსპერტთა ჯგუფი”. საკონსულტაციო ჯგუფის მიზანი იყო ადამიანით ვაჭრობის აღკვეთასთან დაკავშირებით მიეწოდებინა ევროკომისიისათვის ექსპერტიზა გადაწყვეტილებების ან ანგარიშის სახით. 2007 წლის 17 ოქტომბერს მიღებული იქნა კომისიის გადაწყვეტილება ადამიანით ვაჭრობის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით (OJ 2007/L 277/29, 20.10.2007), რომელიც უზრუნველყოფდა ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებას 2007 წლის 16 ოქტომბრის, 2003/209/EC გადაწყვეტილების მოქმედების ამოწურვის შემდეგ.[1]

ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებით, ევროკავშირის ბოლო დოკუმენტებია: ევროკავშირის ფარგლებს გარეთ ადამიანით

---

1 http://ec.europa.eu/justice_home/fsj/crime/trafficking/fsj_crime_human_trafficking_en.htm and http://europa.eu/legislation_summaries/employment_and_social_policy/equality_between_men_and_women/l33209_en.htm

ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ანგარიში (2009 წლის 19 ნოემბერი), ევროპის პარლამენტის გადაწყვეტილება ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებით (2010 წლის 10 თებერვალი) და სტოკჰოლმის პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა (2010 წლის 20 აპრილი). ამახვილებს რა ყურადღებას კოორდინაციაზე, თანამშრომლობასა და ურთიერთგაგებაზე, ქმედებაზე ორიენტირებული ანგარიში ხაზს უსვამს მსხვერპლსა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას მრავალდარგობრივი მოქმედებისთვის. კონკრეტულად, დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ ნაბიჯებს: დონორთა კოორდინაცია, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის უკეთ გაცვლა, ორგანიზაციების, სტრუქტურების და მექანიზმების გრძელვადიანი და მდგრადი ფინანსური დახმარება, ევროკავშირის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პორტალის ჩამოყალიბება, და საერთაშორისო დონეზე ევროკავშირს, მესამე ქვეყნებს, რეგიონებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბება. ევროპის პარლამენტის გადაწყვეტილება ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებით, ხაზს უსვამს შეფასების მექანიზმების საჭიროებას და აღნიშნავს, რომ "ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ საკანონმდებლო ინსტრუმენტებით. აუცილებელია, რომ ის ასევე მოიცავდეს არასაკანონმდებლო ღონისძიებებს, კონკრეტულად კი, მიღებული საშუალებების განხორციელების შეფასებას, ინფორმაციის შეგროვებას და გაცვლას, თანამშრომლობას და პარტნიორობას და გამოცდილებების გაზიარებას".[2] სტოკჰოლმის პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა აღნიშნავს, რომ "უფრო ეფექტიანი სამართლებრივი დევნა და მსჯავრდება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მსხვერპლთა საჭიროებების დაკმაყოფილება"[3].

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენციას (რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებით და ასევე ღიაა სხვა არაწევრი და ევროპის გაერთიანების სახელმწიფოებისათვის), ხელი 2005 წელს მოეწერა. კონვენცია ძალაში შევიდა 2008 წლის 1 თებერვალს. დღემდე მისი რატიფიცირება 20 სახელმწიფომ მოახდინა და ევროპის საბჭოს დამატებით 20 წევრმა ხელი მოაწერა მას[4]. წარმოადგენს რა,

2 http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2010-0018+0+DOC+XML+V0//EN&language=DE

3 http://ec.europa.eu/justice_home/news/intro/doc/com_2010_171_en.pdf

4 http://www.coe.int/t/DG2/TRAFFICKING/campaign/Flags-sos_en.asp.

ადამიანით ვაჭრობისადმი უფრო ამბიციურ და მკაცრ მიდგომას, კონვენცია პირველი საერთაშორისო დოკუმენტია,რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლის ნათელ განმარტებას შეიცავს ადამიანთა უფლებებთან მიმართებით. ევროპის საბჭომ ჩამოაყალიბა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის დამოუკიდებელი, მრავალდარგობრივი ექსპერტთა ჯგუფი (GRETA) მონაწილეთა მიერ კონვენციის განხორციელების მონიტორინგის მიზნით. ჯგუფი შედგება 10-15 წევრისაგან, რომლებიც კონვენციის ხელმომწერი ქვეყნების მოქალაქეები არიან (კონვენციის 36-ე მუხლის თანახმად) და არჩეული არიან 4 წლიანი ვადით 2009 წლის 1 იანვრიდან. 2009 წლის თებერვლის შემდეგ GRETA იკრიბება კვარტალში ერთხელ (შეხვედრის ანგარიშები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე) და წარმოადგენს ანგარიშს კონვენციის განხორციელების სტატუსის შესახებ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისი მონაწილეების მიერ შევსებული კითხვარებზე დაყრდნობით და საჭიროების შემთხვევაში, ქვეყანაში ვიზიტის დროს[5]. ასევე მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1930 წლის კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ, რომელიც კრძალავს იძულებითი და სავალდებულო შრომის ნებისმიერ ფორმას. ამ კონვენციით ასევე განსაზღვრულია, რომ იძულებითი თუ სავალდებულო შრომის არალეგალური მოთხოვნა დაისჯება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

**წინაპირობა 1: ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში**

ბევრი ორგანიზაცია მიუთითებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ მოიპოვება ამ მიდგომის ოფიციალური განმარტება, ერთ-ერთი ინტერპრეტაციის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დააკვირდნენ საკუთარი პოლიტიკის როგორც დაგეგმილ, ასევე დაუგეგმავ გავლენას იმ პიროვნებებზე, რომლებიც გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი ან დგანან ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის საფრთხის წინაშე. სახელმწიფოებმა უნდა შეცვალონ საკუთარი პოლიტიკა და იმპლემენტაცია ნებისმიერი ნეგატიური ეფექტის გათვალისწინებით.

5 http://www.coe.int/t/dghl/monitoring/trafficking/docs/monitoring/greta_EN.asp,

მოქმედების სამივე სფეროში, კერძოდ - აღკვეთის, დაცვისა და დევნის პროცესში, უნდა დავრწმუნდეთ, რომ პოტენციურ მსხვერპლს/ტრეფიკინგის მსხვერპლს ეპყრობიან არა როგორც დამნაშავეს, არამედ როგორც მსხვერპლს და შესაბამისად, უზრუნველყოფილი აქვთ გარკვეული უფლებების დაცვა. კონკრეტულად კი, ეს მოიცავს დროებითი საცხოვრებელი სტატუსის, თავშესაფრის, სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების, სამართალწარმოების, კომპენსაციის თუ რესტიტუციის მიღების უფლებას. ტრეფიკინგის მსხვერპლთან მომუშავე ნებისმიერი პირი უნდა იცავდეს მსხვერპლის ძირითად უფლებებს.

სამუშაო პარადიგმამ უნდა გადაინაცვლოს სისხლის სამართლის სანქციებიდან ადამიანის უფლებების დაცვაზე. ხშირად ტრეფიკინგის აღკვეთის მცდელობები არ ითვალისწინებს იმ პირების უფლებების დაცვას, რომელთა დახმარებაც არის დაგეგმილი ამ ღონისძიებებით. ეს ზოგჯერ “თანმდევ ზიანს” იწვევს, ადამიანის უფლებების უარყოფითი შედეგების სახით, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის, ასევე სხვა ჯგუფებისათვის, როგორიცაა არალეგალური მიგრანტები.

უფლებები მხოლოდ მაშინაა რეალური, როდესაც ადამიანს ძალუძს მათი დაცვა და განხორციელება. საუკეთესო სტრატეგიებს წარმოადგენს ისინი, რომლებიც საშუალებას აძლევს შესაბამის პირებს – ტრეფიკინგის მსხვერპლთ – გამოხატონ საკუთარი წუხილი და იმოქმედონ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ფუნდამენტური პრინციპებია ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებაუნარიანობა, თვით-გამოხატულება და მონაწილეობა. ამ პრინციპების დასაცავად საჭიროა, არსებობდეს ტრეფიკინგის მსხვერპლად ხელმეორედ გახდომის შემცირების მექანიზმები საჯარო დაწესებულებების და სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.

უფლებამოსილების მიმნიჭებელი სტრატეგიები ასევე უფრო ეფექტიან გამოძიებას და ადამიანით მოვაჭრის წარმატე-

ბულ სამართლებრივ დევნას გამოიწვევს. ტრეფიკინგის მსხვერპლი,რომელმაც იცის საკუთარი უფლებები და დაცულია შურისძიებისა და დევნისგან, ითანამშრომლებს გამოძიებასთან. ტრეფიკინგის მსხვერპლთა ინდივიდუალური და საჭიროებისამებრ მორგებული დახმარება და მხარდაჭერა საშუალებას მისცემთ მათ, მოიპოვონ კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე და შეამცირონ ხელმეორედ მსხვერპლად გახდომის რისკი.

# III

# მონიტორინგი ადამიანით ვაჭრობის სფეროში – სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

III

# მონიტორინგი ადამიანით ვაჭრობის სფეროში – სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

## შესავალი

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ყველა სამუშაოსთვის მნიშვნელოვანია მონიტორინგი, მიმოხილვა და შეფასება, რათა შეფასდეს თუ რამდენად მიაღწია პროექტმა, პროგრამამ, სტრატეგიამ და/ან პოლიტიკამ მიზანს, რა შედეგი გამოიღო და დაფიქსირდეს გრძელ-ვადიანი ეფექტები. ის ზუსტი რეპორტინგის საფუძველია და საშუალებას იძლევა გამოიყოს მიღებული გაკვეთილები და არსებული სირთულეები, რისი გამოყენებაც ახალი პროგრამების დასაგეგმად ან არსებული პროგრამების შესაცვლელადაა შესაძლებელი. იგი ასევე დაგეგმის და მართვის ეფექტიანი საშუალებაა – პროგრამის დასაწყისში მონიტორინგის სისტემების შექმნა და შეფასების დასახვა დაგვეხმარება შევქმნათ და მიმოვიხილოთ მიზნები და ვივარაუდოთ საჭირო რესურსები. ონიტორინგი და შეფასება ასევე მუდმივ სწავლას უწყობს ხელს, რისი გაზიარებაც უნდა მოხდეს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე გარეთ პრაქტიკოსებთან, პოლიტიკის განმსაზღვრელებთან, ზოგადად გადაწყვეტილების მიმღებებთან და დონორებთან.

მონიტორინგი საშუალებას გვაძლევს მუდმივად შევაფასოთ ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული სამუშაოს ხარისხი და ეფექტი შეთანხმებულ სტრატეგიებთან, სამოქმედო გეგმებთან და მიზნებთან მიმართებაში. ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს პოზიტიური და ნეგატიური, პირველადი და მეორედი გრძელვადიანი შედეგები, რომლებიც მიიღება პირდაპირი თუ არაპირდაპირი, დაგეგმილი თუ დაუგეგმავი მოქმედების შედეგად. იგი საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს დაადგინონ, სად ვერ მიიღეს შედეგი ან სად მიიღეს დაუგეგმავი ნეგატიური შედეგი.

თუკი მონიტორინგი და შეფასება ერთობლივად მოიხსენიება, მაშინ რა განსხვავებაა მათ შორის? ისინი განსხვავდებიან, თუმცა

ავსებენ ერთმანეთს. მონიტორინგი აქცენტს პროგრამის განხორციელებაზე აკეთებს (ანუ ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებზე და მიღებულ პროგრესზე) მიმდინარე თვითშეფასების ფორმით. შეფასება უფრო დაინტერესებულია პროგრამის ღონისძიებების საბოლოო შედეგებით, რესურსების ეფექტიანი გამოყენებით და პროგრამის ერთიანი შესაბამისობით. ამიტომ, მონიტორინგი შეეხება უფრო მოქმედების და მიზნების დონეს, მაშინ როცა შეფასება ფოკუსირდება სტრატეგიულ და პროგრამულ დონეზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მონიტორინგი ასახავს, თუ რა ეტაპზეა პროგრამის განხორციელება მოცემულ მომენტში. შეფასება კი, ყურადღებას ამახვილებს, თუ რატომ ვერ იქნა შედეგები და მიზნები მიღწეული და გვთავაზობს რეკომედაციებს შესაძლო გაუმჯობესებისთვის (შეფასების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ამ სახელმძღვანელოს მე-4 ნაწილი).

### წინაპირობა 2: მონიტორინგის და შეფასების დამატებითი როლი

| | მონიტორინგი | შეფასება |
|---|---|---|
| ვადა | პროექტის, პროგრამის, გეგმის და სტრატეგიის განხორციელების განმავლობაში მიმდინარე პროცესი | სრულდება პროექტის, პროგრამის, გეგმის, სტრატეგიის (შუალედური შეფასება) შეჩერების დროს ან პროექტის, პროგრამის, გეგმის ან სტრატეგიების (შეფასების შემდგომი) დასრულების შემდეგ. |
| ფოკუსი | შეამოწმეთ, თუ როგორ მიმდინარეობს დაგეგმილი ღონისძიებები, განსაზღვრეთ საოპერაციო სირთულეები და წარმოადგინეთ რეკომენდაციები გაუმჯობესებული განხორციელებისთვის | შეაფასეთ შედეგების მიღწევა, შესაბამისობა, ეფექტიანობა და ღონისძიებების გავლენა და მათი შედეგებზე მოქმედება |
| მიზანი | გააუმჯობესეთ ეფექტიანობა და პროდუქტიულობა, უზრუნველყავით ღონისძიებების შედეგებში ტრანსფორმირება | გამოიკვლიეთ დაგეგმილი და დაუგეგმავი შედეგები, ჩამოაყალიბეთ რეკომენდაციები შესწორებების შესატანად |
| შინაარსი | მიღწეული პროგრესის შეფასება დასახულ ინდიკატორებთან მიმართებაში | ინდიკატორების შესრულება (რაოდენობა და ხარისხი) |
| ვისთვის | კონკრეტულად განმახორციელებლებისათვის | შედეგები საჯარო უნდა იყოს განმახორციელებლებისათვის და ასევე დონორებისთვის და ბენეფიციარებისთვის, დაინტერესებული საზოგადოებისთვის. |

## წინაპირობა 3: ადამიანით ვაჭრობის სფეროში მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმები

ადამიანით ვაჭრობის სფეროში მონიტორინგი ძირითადად შესრულებული ქმედებების, ღონისძიებების, სტრატეგიების და/ან განხორციელებული გეგმებისა და მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის გაკეთებას გულისხმობს. ვინაიდან ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო კონტექსტში სხვადასხვა ასპექტსა და დონეს მოიცავს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების მონიტორინგიც ასევე სხვადასხვა დონეებზე ხორციელდება. ამიტომ, მონიტორინგისა და ანგარიშგებისთვის სამი სხვადასხვა მექანიზმის გამოყოფა შეიძლება:

**ა) ეროვნული ანგარიში (და/ან თვითშეფასება)**

სხვადასხვა ქვეყანაში ეროვნული ანგარიშის სფეროში რამოდენიმე განსხვავებული მოდელია მიღებული. ზოგ შემთხვევაში შექმნილია სპეციალური უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფები - დაინტერესებულ პირთაგან შემდგარი კომიტეტი, სპეციალური ოფისი ან სპეციალურად დანიშნული ეროვნული მომხსენებელი, რომელიც წარმოდგენს ანგარიშს ადამიანით ვაჭრობის სფეროში არსებული პროგრესის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევებში, ანგარიშს ამზადებს კონგრესის ან საპარლამენტო კომიტეტი, რომლის მოვალეობაა, თვალყური ადევნოს მთავრობის მოქმედებას ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ბ) სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ორგანოებისადმი წარსადგენი ანგარიშები (მაგალითად CEDAW–ის კონვენცია ქალთა დისკრიმინაციიის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ევროპის საბჭოს კონვენცია ტრეფიკინგის შესახებ)**

საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან გაეროში სპეციალიზირებულ კომიტეტებს წარუდგინონ ანგარიში შესაბამისი რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციებისა შესრულების მონიტორინგისათვის. კონვენციები, რომლებიც საჭიროებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ანგარიშის წარდგენას არის: ტრეფიკინგთან დაკავშირებული კონვენციები, რომელთა შესახებაც უნდა გაკეთდეს ანგარიშები, მოიცავს შემდეგ კონვენციებს: კონვენცია

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, გაეროს პროტოკოლი ადამიანით ვაჭრობის აცილების, აღკვეთის და დასჯის შესახებ, რომელიც ავსებს გაეროს კონვენციას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, ასევე ზოგიერთი რეგიონული ინსტრუმენტი/ნორმატიული დოკუმენტი. ადამიანით ვაჭრობის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის ანგარიში სახელმწიფოებმა უნდა წარუდგინონ მონიტორინგის ორგანოს ევროპის საბჭოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი ეროვნული ექსპერტთაგან შემდგარი მხარეთა მიერ კონვენციის განხორციელების შესახებ.

**გ) საერთაშორისო ორგანოს მიერ საერთაშორისო ანგარიშის მომზადება**

ამჟამად მზადდება სხვადასხვა ინიციატივები საერთაშორისო ორგანოების მიერ ადამიანით ვაჭრობის სფეროში ერთობლივი ანგარიშის მომზადებისთვის. გაეროს ჰყავს სპეციალური მომხსენებლი ადამიანით ვაჭრობის, განსაკუთრებით ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგის სფეროში, რომელიც ამზადებს ანგარიშს ადამინებით ვაჭრობის სფეროში მსოფლიოს მასშტაბით არსებული მდგომარეობის შესახებ და რომელსაც გააჩნია მთავრობის ღონისძიებების გამოძიების, მონიტორინგისა და ანგარიშგების უფლებამოსილება. თავის მხრივ, ევროპის პარლამენტი 2010 წლის 10 თებერვალს მიღებულ გადაწყვეტილებაში მოუწოდებს საბჭოს და კომისიას "სამართლიანობის, ძირითადი უფლებების და მოქალაქეობის საკითხების კომისრის ზედამხედველობით დანიშნონ ევროკავშირის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინატორი ამ სფეროში ევროკავშირის ქმედების და პოლიტიკის კოორდინირებისათვის, მათ შორის, ეროვნული მომხსენებლების საქმიანობის შესახებ. კოორდინატორი ანგარიშვალდებული იქნება როგორც ევროპარლამენტის, ასევე შიდა უსაფრთხოების შესახებ ოპერატიული თანამშრომლობის კომიტეტის წინაშე (COSI);"

*წყარო: მატარი (2008) ევროპის პარლამენტი*

წინამდებარე სახელძღვანელო ძირითადად განკუთვნილია ეროვნული ანგარიშგების და თვითშეფასებისთვის. თუმცა ეროვნულ დონეზე მონიტორინგის შედეგები გამოყენებული

უნდა იქნას არსებული პოლიტიკის გადასასინჯად და ანალიზისთვის და უნდა წარმართოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მონიტორინგის შედეგების ეროვნული დონე, გარკვეულწილად, აისახება სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ორგანოებისადმი წარდგენილ მოხსენებებში. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მნიშვნელობას.

## შედეგებზე ორიენტირებული მართვა

*"ნათქვამია, თუ არ იცი საით მიდიხარ, ნებისმიერი გზა მიგიყვანს იქ. სწორედ მიმართულების არ ცოდნის თავიდან ასაცილებლად არის შექმნილი შედეგებზე ორიენტირებული მართვა. ის თავდაპირველად მიმართულებისა და დანიშნულების ადგილის შერჩევას, გზის არჩევას, დანიშნულების ადგილზე მისასვლელი ნაბიჯების გადადგმას, პროგრესის შემოწმებასა და სასურველი მიზნების მისაღწევად კურსის შეცვლას გულისხმობს."* (იუნესკო, 2008 წელი)

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა მიდგომები დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების სფეროში. საერთაშორისო განვითარების, კონფერენციებისა და შეთანხმებების, განსაკუთრებით კი პარიზის დეკლარაციის (2005 წელი) გავლენით, საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ყურადღების გამახვილება მოხდა ნებისმიერი ღონისძიებების მეტ ეფექტიანობაზე, ანგარიშვალდებულებასა (მაგალითად, მთავრობის – თავისი მოქალაქეებისადმი, ან განმხორციელებლების – თავიანთი დამფინანსებლებისადმი) და მდგრადობაზე. ამ ცვლილების გათვალისწინებით, ბევრმა დაწესებულებამ და ორგანიზაციამ პროექტების დაგეგმვის დროს ყურადღება ღონისძიებების დაგეგმვიდან (რის გაკეთებას ვაპირებთ?) საბოლოო შედეგების მიღწევაზე გადაიტანა (რისი მიღწევა გვსურს?). შესაბამისად, ყურადღება გამახვილებულია მოქმედებისა და განხორციელების შედეგებზე. დაგეგმილმა ცვლილებებმა განსხვავებული სტრატეგიული მიდგომა ჩამოაყალიბა, რასაც შედეგებზე ორიენტირებული მართვა ეწოდება.

## მექანიზმი 1 შედეგების ჯაჭვის ელემენტები

| | |
|---|---|
| მიზანი/ამოცანა | **მოსალოდნელი გავლენა,** რომელიც ხელს უწყობს ფიზიკურ, ფინანსურ, ინსტიტუციონალურ, სოციალურ და საზოგადოების ან ადამიანთა ჯგუფის სხვა სარგებელს ერთი ან რამოდენიმე მოქმედების შედეგად. |
| ინდიკა-ტორები | რაოდენობრივი ან ხარისხობრივი კრიტერიუმები, რითაც ფასდება მოქმედების წარმატება და შედეგების მიღწევა. |
| შედეგები/გავლენა | მოქმედების შედეგების სავარაუდოდ მიღწეული მოკლე ვადიანი და საშუალო ვადიანი ეფექტები. |
| პროდუ-ქტი | მოქმედების შედეგეად მიღებული პროდუქტები და მომსახურეობები; ის ასევე შეიძლება მოიცავდეს მოქმედების შედეგად მიღებულ **ცვლილებებს,** რომლებიც შეესაბამება შედეგების მიღწევას. |
| ღონისძიე-ბები | **განხორციელებული ნაბიჯები,** რომელთა მეშვეობიც რესურსები, როგორიცაა ფინანსები, ტექნიკური დახმარება და სხვა სახის რესურსები მობილიზებულია კონკრეტული შედეგების მისაღებად. |
| რესურ-სები | მოქმედებისათვის გამოყენებული ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსები. |
| პრობლე-მა | მთავარი გადასაწყვეტი საკითხი. |

შედეგად, მონიტორინგი პროექტების, პროგრამების, სტრატეგიის თუ პოლიტიკის მხოლოდ იმპლემენტაციიდან შედეგების შეფასებაზე კონცენტრირების კუთხით შეიცვალა (შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგი). სხვაგვარად რომ ვქთვათ, ყურადღებამ ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგიდან გადაინაცვლა იმაზე, თუ რამდენად გვაძლევენ ეს ღონისძიებები საშუალებას, მივიღოთ დაგეგმილი ცვლილები.

ამგვარად, შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგი გულისხმობს მიღწეულ ცვლილებებზე დაკვირვებას პროექტის, პროგრამის, გეგმის თუ სტრატეგიის პროდუქტების და სერვისების გამოყენებით. შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგი არის შედეგეგებზე ორიენტირებული მართვის მიდგომის ერთ-ერთი ნაწილი.

## მექანიზმი 2: ტრეფიკინგის მსხვერპლთა რე-/ინტეგრაციის სამაგალითო შედეგების ჯაჭვი

| შედეგების ჯაჭვის კომპონენტი | მაგალითი |
|---|---|
| **მიზანი:**<br>დაგეგმილი შედეგი, რომელიც განაპირობებს საზოგადოების ან ადამიანთა ჯგუფის ფიზიკურ, ფინანსურ, ინსტიტუციონალურ, სოციალურ თუ სხვა სახის სარგებელს ერთი ან რამოდენიმე ქმედების საშუალებით. | ტრეფიკინგის მსხვერპლი პირები ინტეგრირებული არიან თავიანთი წარმოშობის თუ სხვა საზოგადოებაში. |
| **მაჩვენებლები:**<br>რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების დადგენა, რომელიც განსაზღვრავს მოქმედების წარმატებას და შედეგების მიღწევას. | • იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა რაოდენობა გაიზარდა 20 პროცენტით (წყარო: ეროვნული მონაცემთა ბაზა).<br>• გამოკითხულ მსხვერპლთა 80 პროცენტი რეინტეგრაციის მომსახურებას აფასებს, როგორც ადეკვატურს და მათ საჭიროებებზე მიზანმიმართულს (წყარო: რაოდენობრივი გამოკითხვა).<br>• ხელახლა ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის მაჩვენებელი შემცირდა 50 პროცენტით (წყარო: ეროვნული მონაცემთა ბაზა).<br>• რეინტეგრაციიდან 1 წლის შემდეგ საკუთარ შემოსავალზე მცხოვრებ მსხვერპლთა პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა 15%-ით (წყარო: არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკითხვა). |
| **შედეგები/ გავლენა:**<br>მოქმედების შედეგების სავარაუდო ან მიღწეული მოკლევადიანი ეფექტები. | • ტრეფიკინგის სულ უფრო მეტი მსხვერპლის იდენტიფიცირება ხდება.<br>• ტრეფიკინგის მსხვერპლი პირები მიმართული არიან ხარისხობრივი მომსახურების პროვაიდერებთან.<br>• ტრეფიკინგის მსხვერპლ პირებს შეუძლიათ მოიპოვონ საკუთარი შემოსავლის წყარო რეინტეგრაციის შემდეგ. |
| **შედეგები:**<br>მოქმედების შედეგად მიღებული პროდუქტები და მომსახურეობები; შეიძლება ასევე მოიცავდეს იმ მოქმედებებით გამოწვეულ ცვლილებებს, რომლებიც შედეგების მიღწევას შეესაბამება. | • სახელმწიფო და არასახელმწიფო მონაწილეებს შორის თანამშრომლობა გაძლიერებულია.<br>• თავშესაფრის პერსონალი და პოლიციელები დატრენინგებული არიან იდენტიფიცირების მექანიზმების შესახებ ტრეფიკინგის წინააღმდეგ მუშაობაში.<br>• ტრეფიკინგის მსხვერპლ პირებთან მუშაობის მინიმალური სტანდარტები შეთანხმებულია.<br>• ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მომსახურების პროვაიდერები გაძლიერებული არიან.<br>• ტრეფიკინგის შერჩეულმა მსხვერპლმა პირებმა მიიღეს პროფესიული ტრენინგი. |

| | |
|---|---|
| **ღონისძიებები:**<br>**გატარებული ღონისძიებები, რომელთა საშუალებით გაღებული რესურსი (მაგალითად ფინანსები, ტექნიკური დახმარება და სხვა სახის რესურსები) მობილიზებულია კონკრეტული შედეგის მისაღებად.** | • სახელმწიფო და არა-სახელმწიფო მონაწილეების თანამშრომლობის ხელშეწყობა (ეროვნული რეფერალური მექანიზმის მეშვეობით)<br>• ღონისძიებების და ტრენინგების ჩატარება სახელმწიფო და არა-სახელმწიფო მონაწილეებისთვის<br>• ტრეფიკინგის მსხვერპლ პირებთან მუშაობის მინიმალური სტანდარტების განხილვა და ჩამოყალიბება<br>• ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მომსახურების პროვაიდერების ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა<br>• ტრეფიკინგის მსხვერპლ პირთათვის პროფესიული ტრენინგების და შემოსავლის მომტანი ღონისძიებების ჩამოყალიბება. |
| **გაღებული რესურსი:**<br>**მოქმედებებში გამოყენებული ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსები.** | • ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო სთავაზობს თავშესაფარს და განათლებას ტრეფიკინგის მსხვერპლ არასრულწლოვნებს.<br>• ქალთა საკითხებზე მომუშავე სამინისტრო აფინანსებს თავშესაფარს, რომელიც იმართება ქალთა ორგანიზაციის მიერ.<br>• ქალთა ორგანიზაცია სთავაზობს ადამიანურ რესურსებს და გამოცდილებას.<br>• საერთაშორისო დონორი სთავაზობს ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებს თავშესაფრის თანამშრომლებისთვის სტადარტების ჩამოსაყალიბებლად და სოციალური მუშაკებისთვის ტრენინგების ჩასატარებლად. |

| | |
|---|---|
| **პრობლემა:**<br>**ძირითადი საკითხი, რომლის გადაჭრაც გვსურს.** | ტრეფიკინგის მსხვერპლი პირებისთვის ადამიანთა უფლებების მიდგომაზე დაფუძნებული რეინტეგრაციის მდგრადი მომსახურების ნაკლებობაა. |

## შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგის პრინციპები და წინაღობები

შედეგზე ორიენტირებული მონიტორინგი მოიცავს ოთხ ასპექტს: **განსაზღვრული შედეგები,** რომელთა შეფასება, მონიტორინგი და შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია; **რესურსები,** რომლებიც დასახული მიზნების ადეკვატურია; **ორგანიზაციული მომზადება,** რითაც უფლებამოსილება და ვალდებულებები შედეგების და რესურსების შესაბამისია; და **პროცესები** დაგეგმვისთვის, მონიტორინგისთვის, კომუნიკაციისა და რესურსების გამოყენებისთვის, რითაც ორგანიზაცია რესურსების სასურველ შედეგებად რეალიზებას ახდენს.

ზემოთხსენებული ოთხი ასპექტის შესასრულებლად **<u>შედეგებზე ორიენტირებული მართვა უნდა განხორციელდეს შესაბამისი პრინციპებით:</u>**

- **ღონისძიებების ნაცვლად შედეგებზე ორიენტირება:** ეს ნიშნავს ტრეფიკინგის წინააღმდეგ მუშაობისას ცალკეული ღონისძიების ნაცვლად ყურადღების გადატანას მოქმედების განსაზღვრულ და შეფასებად საერთო შედეგებსა და ზემოქმედებაზე. ეს, ასევე, არა მხოლოდ დაგეგმილი, არამედ პოტენციური, დაუგეგმავი ნეგატიური შედეგების გათვალისწინებასაც ნიშნავს.
- **განსაზღვრული პასუხისმგებლობები და ვადა:** კონკრეტული სტრატეგიის, პოლიტიკის, პროგრამის და/ან პროექტის პროგრესის მონიტორინგისთვის ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული, რა მონაცემებია საჭირო, ვინ ასრულებს კონკრეტულ დავალებებს და როდის უნდა დასრულდეს ისინი.
- **შესაბამისობა:** ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ზომებში სხვადასხვა სამუშაო მიმართულებები არსებობს. პრიორიტეტების ჩამოყალიბებისას, უნდა განისაზღვროს და განხილულ იქნეს კონკრეტული ზომების შესაბამისობა მონიტორინგისა და შეფასების განმავლობაში.
- **ეფექტიანობა და პროდუქტიულობა:** შედეგებზე ორიენტირებული მართვა გულისხმობს შეკითხვას, გადაიდგა თუ არა სწორი ნაბიჯები – და კარგად შესრულდა თუ არა ყველაფერი. უნდა შეფასდეს რესურსების არსებობა და უკვე გაღებული რესურსებით მიღწეული შედეგები.
- **მდგრადობა და ზემოქმედება:** შედეგებზე ორიენტირებული მართვის მეშვეობით უნდა შეფასდეს, მიღწეულია თუ არა დასახული მიზნები. გარდა ამისა, უნდა დავაკვირდეთ, გაგრძელდება თუ არა კონკრეტული სტრატეგიის ან ღონისძიების ზეგავლენა მოქმედების დასრულების შემდეგ. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მდგრადობის უზრუნველსაყოფად უნდა არსებობდეს დამატებითი სამიზნეები, როგორიცაა ორგანიზაციული განვითარება ან პროცესის ხელშეწყობა.
- **მასშტაბი და ინოვაცია:** დაგეგმვის პროცესში უნდა შეფასდეს, გააჩნია თუ არა მოქმედებას პოტენციალი, მოიცვას სამიზნე მოსახლეობის დიდი ოდენობა. ამის მონიტორინგი უნდა გრძელდებოდეს მთელი პროცესის განმავლობაში.

- **გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება:** მთავრობის მოვალეობა და პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს ადამიანთა უფლებების დაცვა და დევნოს ის პირები და საჯარო მოხელეები, ვინც ხელყოფს სხვათა უფლებებს. ამგვარად, ტრეფიკინგის კონტექსტში, მთავრობა პასუხს აგებს საკუთარი მოხელეების მიერ ჩადენილ ქმედებებზე, როგორებიც არიან იმიგრაციის ოფიცრები, მესაზღვრეები ან პოლიციელები. ცალკეულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ მთავრობის ანგარიშვალდებულება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე. მონიტორინგისა და შეფასების კუთხით, მათი ვალდებულებაა გამჭვირვალე და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდება სტრატეგიების, პრიორიტეტების, მოქმედებების და შესაძლო ზიანის შესახებ. ტრეფიკინგის წინააღმდეგ მუშაობის მხრივ, ეს გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას და განხილვას ყველა შესაბამის მონაწილესთან.
- **თანამონაწილეობა და უფლებამოსილების მინიჭება:** ერთობლივი მიდგომა ნიშნავს ჯგუფების (განსაკუთრებით მარგინალიზებული) შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესში, აიღონ პასუხისმგებლობა და გავლენა იქონიონ დაწესებულებებზე, პოლიტიკაზე, სტრატეგიებსა და პროგრამებზე თავიანთი კონკრეტული ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, ასეთი ჯგუფების უფლებამოსილებით აღჭურვა ხელს უწყობს ტრეფიკინგის აღკვეთას.
- **არადისკრიმინაცია და ჩართულობა:** სხვადასხვა ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა არსებული მომსახურება. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ადამიანთა მარგინალური ჯგუფები, როგორებიც არიან მიგრანტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებელნი, ხშირად ნეგატიურ შედეგებს იღებენ და შესაბამისად, ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ზომები კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა სწორედ იმ ხალხისთვის, რომელთა დასახმარებლადაც იყვნენ მოწოდებულნი. ამგვარად, სამიზნე ჯგუფების ანალიზის მეშვეობით, დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განმავლობაში, უნდა შეფასდეს კონკრეტულ ჯგუფებზე და მონაწილეებზე გამოწვეული შესაძლო ნეგატიური ეფექტი და უნდა მოხდეს მისი თავიდან არიდება.

<u>შედეგებზე ორიენტირებულ მონიტორინგთან</u> დაკავშირებით არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები:

უდავოა, რომ საბაზისო კვლევები მონიტორინგისა და შეფასების წინაპირობაა. თუმცა, მონაცემთა არსებობა და ხარისხი ტრეფი-

კინგის წინააღმდეგ ბრძოლის მონიტორინგისა და შეფასებისათვის წინაღობასაც წარმოადგენს. განსაკუთრებით რთულია ხარისხობრივი მონაცემების მოძიება (მაგალითად, რეინტეგრაციის მცდელობის გრძელვადიანი ეფექტის ხარისხის შესახებ). გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში მონაცემების მიღება გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით ეს შეეხება შედეგის მასშტაბებს, მაგალითად ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობას. საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს გარკვეული სტრატეგიის თუ პროგრამის შედეგები აღნიშნული სტრატეგიის დაწყებამდე არსებული შედეგების მიხედვით? ხშირ შემთხვევაში, გარკვეული მონაცემების მოპოვება თავად პროექტის და პროგრამის მიმდინარეობის პროცესშიც შესაძლებელია. მონაცემთა ფრაგმენტული შეგროვების სისტემები ხშირად იწვევს დუბლირებას არსებულ მონაცემთა ბაზაში.

## წინაპირობა 4: მონაცემთა შეგროვება და ინფორმაციის მართვის ჰარმონიზებული სისტემა

ადამიანით ვაჭრობის სფეროში მონაცემთა შეგროვების მრავალი ინიციატივა არსებობს, მათ შორის, მონაცემთა შეგროვების და ინფორმაციის მართვის პროექტები, რომლებიც განხორციელდა მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და ევროკავშირში 2006-2010 წლებში.

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მიერ განხორციელებულ და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (პირველი ფაზა) და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ (ფაზა პირველი და მეორე) დაფინანსებული პროგრამის, "სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, მონაცემთა შეგროვება და ინფორმაციის მართვის 1-ლი და მე-2 ფაზა" ფარგლებში შემუშავდა მონაცემთა ბაზა მსხვერპლზე და ადამიანით მოვაჭრეზე ორიენტირებული ინფორმაციის შეგროვებისათვის. ინიციატივის მიზანი იყო, მომხდარიყო მონაწილე ქვეყნებში ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული მონაცემთა ხარისხის და სანდოობის ჰარმონიზება და გაუმჯობესება. ტრეფიკინგთან დაკავშირებული მონაცემების გაანალიზების გაუმჯობესების და ტრეფიკინგის პრობლემის რეალური მასშტაბის შეფასების მიზნით ორი განსხვავებული მონაცემთა ბაზა ჩამოყალიბდა ალბანეთის, ბოსნიის და ჰერ-

ცეგოვინის, ბულგარეთის, ხორვატიის, კოსოვოს, მაკედონიის, მოლდოვის, მონტენეგროს, რუმინეთის და სერბეთის შესაბამის ეროვნულ დაწესებულებებს შორის. ამგვარად, შეიქმნა ბაზა უფრო ეფექტიანი მოქმედების და პოლიტიკისათვის. ამ მონაცემთა ბაზების ფუნქციონირების შესახებ პრაქტიკული ინფორმაცია და პროექტის დეტალები შესაძლებელია იხილოთ სახელმძღვანელოში “სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ტრეფიკინგთან დაკავშირებული მონაცემთა შეგროვება: რეგიონალური კრიტერიუმების შემუშავება”, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.antitrafficking.net.

“დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და აღკვეთის” გრანტის ფარგლებში, ევრო კავშირმა დააფინანსა მონაცემთა შეგროვების და ინფორმაციის მართვის სისტემების ჰარმონიზების პროექტი. იგი განხორციელდა პორტუგალიის გენერალური დირექტორატის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობით. პროექტი გამოეხმაურა ევროკავშირის 2005 წლის სამოქმედო გეგმას საუკეთესო პრაქტიკის, სტანდარტების და პროცედურების შესახებ და გააძლიერა მონაწილე ქვეყნების შესაძლებლობა სისტემატურად შეაგროვონ და მართონ ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული მონაცემები. პროექტში მონაწილეობა მიიღო ჩეხეთის რესპუბლიკამ (შინაგან საქმეთა სამინისტრო), პოლონეთმა (შინაგან საქმეთა სამინისტრო), პორტუგალიამ (საზოგადო საქმეთა გენერალური დირექტორატი, შინაგან საქმეთა სამინისტრო) და სლოვაკეთმა (შინაგან საქმეთა სამინისტრო). მათ ჩამოაყალიბეს ინფორმაციის მართვის ტრანსნაციონალურ დონეზე ჰარმონიზებული სისტემა, რომელიც მოიცავს ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესახებ მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვების საზოგადოდ შეთანხმებულ და გაზიარებულ ინდიკატორებს. სახელმძღვანელო „ევროპის კავშირში ტრეფიკინგის წინააღმდეგ მონაცემთა შეგროვება და ინფორმაციის მართვა, სიტუაცია ჩეხეთის რესპუბლიკაში, პოლონეთში, პორტუგალიაში და სლოვაკეთის რესპუბლიკაში”, გვთავაზობს ტრეფიკინგის სფეროში მონაცემთა შეგროვების სახელმძღვანელო პრინციპებს. პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.anti-trafficking.net.

**ყურადღება:** ტრეფიკინგის მსხვერპლთა პირადი მონაცემების შეგროვების დროს, უნდა ვუზრუნველყოთ ინფორმაციის დაცვა და არ უნდა დავუშვათ სხვათა მიერ მისი მოპოვება და არასწორი გამოყენება, შესაბამისად - ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის დამატებითი ზიანის გამოწვევა (მაგალითად, როდესაც ტრეფიკინგის მსხვერპლ დედას შეაქვს სარჩელი ბავშვზე მეურვეობის მოსაპოვებლად, წარსულში მომხდარი ტრეფიკინგის ფაქტი შეიძლება მის საწინააღმდეგოდ იქნას გამოყენებული სასამართლო პროცესის დროს).

მეორე წინაღობა არის ერთიანი **ტერმინების** ნაკლებობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ხშირად ართულებს კონკრეტული მონაცემების გამოყენებას (მაგალითად, გაურკვევლობა ისეთ ტერმინებში როგორიცაა არალეგალურ მიგრანტები, საზღვრის უკანონოდ გადამკვეთი პირები, ტრეფიკინგის მსხვერპლები, ექსპლუატაციურ პირობებში მყოფ არა ტრეფიკინგის მსხვერპლებს შორის).

მესამე პრობლემაა კონკრეტული ცვლილებების **მიკუთვნება** პროგრამის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებისადმი. განსაკუთრებით ეს შეეხება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროს, სადაც კომბინირებულია ბევრი სხვადასხვა მონაწილის მცდელობები, და ამის გამო რთულია კონკრეტული პოლიტიკის, სტრატეგიის, პროგრამის წარმატების ან წარუმატებლობის შეფასება. მეტიც, გარკვეულ პარამეტრებს, როგორიცაა სიღარიბის ინდექსი, უმუშევრობის დონე თუ გენდერული უთანასწორობა, აქვს გავლენა ტრეფიკინგზე და ისინი ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს პოლიტიკის, სტრატეგიებისა და პროგრამების შედეგების შეფასებისას.

## მექანიზმი 3: შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგის და შეფასების სისტემის ჩამოყალიბების ნაბიჯები

| გადასადგმელი ნაბიჯები (ზოგადი) | დასასმელი შეკითხვები | ადამიანით ვაჭრობის სფეროში ეროვნული სამოქმედო გეგმების მონიტორინგისათვის საჭირო ნაბიჯები |
|---|---|---|
| **ჩამოაყალიბეთ შედეგები და მიზნები** | რისი მიღწევა გვსურს? | (ხელახლა) ჩამოაყალიბეთ ეროვნული სამოქმედო გეგმა ნათელი მიზნებით და შედეგებით |
| **მონიტორინგისთვის შეარჩიეთ შედეგის მაჩვენებელი** | კონკრეტულად რას ვაკვირდებით მიღწევის შესაფასებლად? | ჩამოაყალიბეთ შედეგის შესაბამისი მაჩვენებლები |

| | | |
|---|---|---|
| **განმარტეთ, თუ როგორ უნდა დავამტკიცოთ, რომ მაჩვენებლები მიღწეულია (ჩამოაყალიბეთ დადასტურების საშუალებები)** | როგორ ვაფასებთ მას? ვინ ან რა არის მონაცემთა წყარო? | ჩამოაყალიბეთ მაჩვენებლების დადასტურების საშუალებები |
| **შეაგროვეთ არსებული მდგომარეობის შესახებ საბაზისო ინფორმაცია** | სად ვიმყოფებით დღეს მიზნებთან მიმართებაში? | შეაგროვეთ საბაზისო ინფორმაცია ინდიკატორების შესახებ |
| **დასახეთ კონკრეტული მიზნები და მათი მიღწევის ვადები** | როდის და რისი მიღწევა გვსურს? | დასახეთ რეალური მიზნები (პროცენტული მაჩვენებლები, რიცხვები და სხვა.) და მათი ვადები ეროვნულ სამოქმედო გეგმაში (იყავით კონკრეტულები) |
| **ჩამოაყალიბეთ მონაცემთა რეგულარული და მუდმივი შეგროვების ვალდებულება** | ვისი მოვალეობაა მონაცემთა შეგროვება? | განსაზღვრეთ მონაცემთა შეგროვების და წარდგენის პასუხისმგებელი პირები |
| **მონაცემები შეაგროვეთ რეგულარულად, რათა შეაფასოთ მიღწეულია თუ არა მიზნები** | როგორ ვმოქმედებთ მიზნებთან დაკავშირებით? | სხვადასხვა პასუხისმგებელი დაწესებულებები რეგულარულად აგროვებენ მონაცემებს ინდიკატორების მიღწევის შესაფასებლად და რეგულარულად აცნობებენ მათ გარკვეულ ორგანოს (სამუშაო ჯგუფს/კომისიას/ეროვნულ მომხსენებელს/ სამუშაო ჯგუფს და ა.შ.) |
| **გაანალიზეთ და მოახსენეთ შედეგები** | რას მივაღწიეთ და რა არის გასაკეთებელი? | პასუხისმგებელი ეროვნული ორგანო (სამუშაო ჯგუფი/კომისია, ეროვნული მომხსენებელი, სამუშაო ჯგუფი) აანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს და აყალიბებს წლიურ ანგარიშს ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიცავს არსებული სიტუაციის შეფასებას და მოქმედების ზეგავლენას ადამიანით ვაჭრობის სფეროში. შედეგები განიხილება ყველა მონაწილის მიერ და საჭიროების შემთხვევაში, მიღებულია ერთობლივი, ინფორმირებული გადაწყვეტილებები. |
| **განსაზღვრეთ შეფასების როლი, სიხშირე და განრიგი (გარე, შიდა, შუალედური შეფასება საბოლოო შეფასებასთან დაპირისპირებით)** | როდის ვაფასებთ შედეგებს? | შესაბამის მონაწილეებთან ერთად განსაზღვრეთ, თუ როდის უნდა განხორციელდეს შეფასება (გარე და შიდა შეფასება) და განიხილეთ დაფინანსების საჭირო წყაროები. განსაზღვრეთ შეფასების ციკლი (შუალედური და საბოლოო შეფასება) ეროვნული სამოქმედო გეგმის ხანგძლივობის გათვალისწინებით. |

(1) *წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემებიდან 2004 წელი*

# IV

# ეროვნულ დონეზე ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ღონისძიებების სისტემა

IV

# ეროვნულ დონეზე ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ღონისძიებების სისტემა

ამ სახელმძღვანელოს მე-4 ნაწილში გამოცემულია, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს და აიგოს მონიტორინგის საფუძველი. მონიტორინგის შედეგების ხარისხი მის საფუძველზეა დამოკიდებული, ამიტომ აუცილებელია გარკვეული ძალისხმევა იქნას გაწეული კარგი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ჩამოსაყალიბებლად, ან საჭიროების შემთხვევაში, უნდა გადაიხედოს არსებული.

## სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა

ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ ღონისძიებათა სისტემა, როგორც წესი, სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმისგან შედგება, რომელიც ქვეყანაში ტრეფიკინგის სფეროში არსებული სიტუაციის შეფასებაზე დაყრდნობით ყალიბდება. სტრატეგიაც და სამოქმედო გეგმაც უნდა ეფუძნებოდეს ერთსა და იმავე სახელმძღვანელო პრინციპებს სტრატეგიების შექმნის, განმარტების და აღკვეთის, დაცვის და დევნის კუთხით.

სტრატეგია განსაზღვრავს, თუ რა უნდა იქნას მიღწეული (სტრატეგიული მიზნები) და ჰყოფს სტრატეგიულ მიზნებს კონკრეტულ ამოცანებად. ეროვნული სამოქმედო გეგმა კი განმარტავს, თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული სტრატეგიაში ჩამოყალიბებული კონკრეტული ამოცანები. სტრატეგია მოქმედებაში მოდის სამოქმედო გეგმის მეშვეობით, რომელიც მას ჰყოფს ინიციატივებად (კონკრეტულ ამოცანებად), განსაზღვრავს შეფასებად პროგრესს (შესაბამისი ინდიკატორების ჩამოყალიბებით), აწესებს ვადებს და ანაწილებს მოვალეობებს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს კავშირს სტრაგიულ და ოპერატიულ დონეებს შორის და ეროვნულ დონეზე ტრეფიკინგის წინააღმდეგ ღონისძიებათა სისტემის სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ნაწილია (მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, 2006 წელი).




| წინაპირობა 5: | ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიები და ეროვნული სამოქმედო გეგმები საქართველოში |
|---|---|

**სტრატეგია:**
საქართველოში არ არსებობს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული სტრატეგია.

**ეროვნული სამოქმედო გეგმები:**
ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარე სამოქმედო გეგმა საქართველოს მიერ შემუშავებული მეოთხე სამოქმედო გეგმაა, რომელიც ორწლიან პერიოდზეა გათვლილი (2009-2010). ახალი, მეხუთე სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბდება 2010 წლის ოქტომბერში. სამოქმედო გეგმა მოიცავს აღკვეთის, დაცვისა და სამართლებრივი დევნის ღონისძიებებს.

რეკომენდაციები მომავალი სამოქმედო გეგმისათვის:

ა) გეგმის გაწერა უნდა მოხდეს შედეგებზე ორიენტირებული მართვის პრინციპების თანახმად (განსაკუთრებით, შედეგების და შესაბამისი ინდიკატორების ფორმულირება);

ბ) სასურველია გეგმას დაემატოს ცალკე ნაწილი მარეგულირებელი სისტემის შესახებ (რომელიც აწესრიგებს და განსაზღვრავს საკოორდინაციო სტრუქტურებს, სამართლებრივ ჩარჩოს, რესურსების და ბიუჯეტის მობილიზებას, მონიტორინგს, შეფასებას და მონაცემთა შეგროვებას);

გ) სასურველია გეგმას დაემატოს საჭირო ფინანსური სახსრების ნაწილი, რათა შესაძლებელი გახდეს გეგმის განხორციელების საერთო ღირებულების დადგენა;
დ) სადაც შესაძლებელია, განისაზღვროს ღონისძიებების განხორციელების კონკრეტული პასუხისმგებელი სტრუქტურა (მაგალითად სპეციალიზირებული დეპარტამენტები, ან კონკრეტული პირები თუ სამუშაო ჯგუფები და არა სამინისტროები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ზოგადად);
ე) განისაზღვროს ღონისძიებების განხორციელების უფრო კონკრეტული ვადები.

## ეროვნული სამოქმედო გეგმების სტრუქტურა

ოპერატიული დავალებების შესრულებისა და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან ინსტრუმენტად ქცევისათვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გარკვეული სტანდარტები უნდა იყოს გათვალისწინებული. იმის გამო, რომ მხოლოდ სრულყოფილი ეროვნული სამოქმედო გეგმით არის შესაძლებელი დაგეგმილი ქმედებებისა და მათი შედეგების ეფექტიანი მონიტორინგი და რადგან მონიტორინგის შედეგების ხარისხი ძირითადად ჩამოყალიბებული ეროვნული სამოქმედო გეგმის ხარისხზეა დამოკიდებული, ამ ნაწილში კიდევ ერთხელ არის მოცემული ეფექტიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი პრინციპები, რომლებიც შედეგებზე ორიენტირებული მართვის ჩარჩოში არიან განსაზღვრული.

ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს:

- შედეგები
- შედეგის ინდიკატორები
- ღონისძიებები/ქვე-მოქმედებები
- განაწილებული ვალდებულებები
- ვადები
- რესურსები (ფინანსური და ადამიანური რესურსები).

ეს პუნქტები უნდა ჩამოყალიბდეს თითოეული კონკრეტული სტრატეგიული მიზნისთვის და შესაბამისი სტრატეგიის ამოცანებისთვის. როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, თუკი არ არსებობს ეროვნული სამოქმედო გეგმის სტრატეგია, აუცილებელია მიზნები და ამოცანები (რომლებიც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ღონისძიებათა სისტემის სტრატეგიულ დონის შესაბამისი იქნება) ჩამოყალიბდეს ეროვნული სამოქმედო გეგმის შედგენისას.

| მექანიზმი 4: | ეროვნული სამოქმედო გეგმის ნიმუში. |
|---|---|

იხილეთ დანართი 1. საჭიროების შემთხვევაში მოარგეთ თქვენს სიტუაციას.

**ყურადღება:** ეროვნული სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების ან გადასინჯვის დროს ყურადღება გაამახვილეთ საბოლოო შედეგებზე და ცვლილებებზე, რომელთა მიღწევაც გსურთ გეგმის განხორციელებით. არ არის საჭირო კონცენტრირება ღონისძიებებზე ორიენტირებული გეგმის შედგენაზე.

## შედეგები და ინდიკატორები

ეროვნული სამოქმედო გეგმის და მისი მონიტორინგის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი, კონკრეტული და შეფასებადი შედეგების და ინდიკატორების ჩამოყალიბება. შედეგებისა და ინდიკატორების მიღწევისთვის საჭირო ქმედებები სწრაფად განისაზღვრება. დასაწყისში, შედეგი უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც თქვენთვის სასურველი ცვლილება, რომლის მიღწევაც გსურთ თქვენი ქმედებებით ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი თანმხლები მოქმედებების - აღკვეთის, დაცვისა და დევნის - ფარგლებში. ჩამოყალიბებული ცვლილება უნდა უკავშირდებოდეს ინსტიტუციონალურ ცვლილებებს, ზოგადი ხასიათის ცვლილებებს ან მოქმედების ცვლილებებს. შედეგების, ცვლილებისა და შესაბამისი ინდიკატორების ჩამოყალიბება უნდა ეფუძნებოდეს ე.წ. SMART (კონკრეტული, შეფასებადი, მიღწევადი, შესაბამისი და დროში განსაზღვრული) პრინციპებს.

**მექანიზმი 5:** **როგორ ჩამოვაყალიბოთ მონიტორინგის ე.წ. SMART (კონკრეტული, შეფასებადი, მიღწევადი, შესაბამისი და დროში განსაზღვრული) შედეგები და ინდიკატორები**

პროექტების, პროგრამების, სტრატეგიებისა და/ან პოლიტიკის მიმდინარეობს მონიტორინგისათვის მნიშვნელოვანია დავაწესოთ წარმატების ინდიკატორები, როლმებიც გარკვეულ სტანდარტებს უნდა ეფუძნებოდეს. თითოეული შერჩეული შედეგი და ინდიკატორი უნდა ეფუძნებოდეს SMART–ის წესს:

✓ **კონკრეტული:**
შედეგი: გამოხატავს თუ არა შედეგი კონკრეტულ მომავალ მდგომარეობას?

ინდიკატორი: არის თუ არა ინდიკატორი ზუსტი და ნათელი? არის თუ არა იგი კონკრეტული?

✓ **შეფასებადი:**

შედეგი: შესაძლებელია თუ არა შედეგის მიღწევის შეფასება ნათლად განსაზღვრული და შეფასებადი ინდიკატორის მეშვეობით?

ინდიკატორი: შესაძლებელია თუ არა ამ ინდიკატორისთვის საჭირო ინფორმაციის (დადასტურების რაოდენობრივი ან ხარისხობრივი საშუალება) შეგროვება? არსებობს თუ არა საჭირო ინფორმაციის წყარო? არსებობს თუ არა ინფორმაციის შესაგროვებლად საჭირო რესურსები, ან დასჭირდება თუ არა ამის გაკეთებას ძალიან დიდი დრო და უნარი?

✓ **შესრულებადი/მიღწევადი:**
შედეგი: არის თუ არა ჩამოყალიბებული ცვლილება მიღწევადი? აქვთ თუ არა ჩართულ პარტნიორებს, მონაწილეებს უნარი მიაღწიონ მას?

ინდიკატორი: იქნება თუ არა ინდიკატორი მიღწევადი? შესაძლებელი იქნება თუ არა, საჭიროების შემთქვევაში, ინდიკატორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საპასუხოდ შესაბამისი ქმედებების განხორციელება?

მოგვცემს თუ არა ინდიკატორი საკმარის მინიშნებებს ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად?

- ✓ **შესაბამისი:**

  შედეგი: მოქმედებს თუ არა ჩამოყალიბებული ცვლილება ადამიანით ვაჭრობის სფეროს პრიორიტეტების (ეროვნული თუ ზოგადი) სასარგებლოდ?

  ინდიკატორი: მოგვცემს თუ არა ინდიკატორი ინფორმაციას, რომელიც იქნება შესაბამისი და საჭირო პროექტის/პროგრამის ირგვლივ გადაწყვეტილების მისაღებად, თუ იგი მოგვცემს ინფორმაციას, რომელიც უბრალოდ „კარგი იქნება რომ გვქოდეს"?

- ✓ **დროში განსაზღვრული:**
  შედეგი: არის თუ არა განსაზღვრული საბოლოო ვადა შედეგის მისაღებად?

  ინდიკატორი: შეგვატყობინებს თუ არა ინდიკატორი თუ რა უნდა ვიცოდეთ საჭირო დროს? არის თუ არა ინდიკატორის შესაფასებლად მონაცემები საკმარისი სიხშირით შეგროვებული, რათა დროული გადაწყვეტილებების მიღების საშუალება გვქონდეს?

- ✓ ამასთან ერთად, განსაზღვრული უნდა იყვნენ **პასუხისმგებელი** პირები თითოეული მიზნისა და შესაბამისი ინდიკატორებისათვის.

შედეგები შესაძლოა სხვადასხვა ეტაპზე ჩამოყალიბდეს: ისინი შეიძლება იყოს მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი; შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ამოცანა: შეიძლება იყოს მაღალი დონის, ხოლო სტრატეგიული შედეგები ან კონკრეტული შედეგები უფრო დაბალ დონეზე იმყოფებოდეს. ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული შედეგები კი უნდა იყოს კონკრეტული და მატერიალური. ჩამოაყალიბეთ იმდენი რეალისტური შედეგი, რამდენიც დაგჭირდებათ განსაზღვრული და დაგეგმილი მიზნის მისაღწევად.

| მექანიზმი 6: | რამდენიმე სამაგალითო შედეგი ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროდან |
|---|---|

შემდეგი შედეგები მხოლოდ ნიმუშებია. შეგიძლიათ აღმოაჩინოთ, რომ ჩამოყალიბებულ შედეგებს სხვადასხვა მიზანი აქვს, რადგან ზოგიერთი მათგანი უფრო ფართოდ არის ფორმულირებული ვიდრე სხვები.
ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენ საკუთარი შედეგების ჩამოყალიბება ადმიანით ვაჭრობის სფეროში ინდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად მოგიწევთ.

**მარეგულირებელი სისტემა:**
- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობის უკეთ ჰარმონიზაცია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან
- ტრეფიკინგის წინააღმდეგ მოქმედებისათვის საჭირო ნათელი პროცედურები
- შესაბამისი პოლიტიკის ფარგლების რეფორმირება ტრეფიკინგის საწინააღმდეგო მოქმედების მხარდასაჭერად
- ეროვნული მიმართულების მექანიზმების განსაზღვრა ტრეფიკინგის მსხვერპლებთან (პოტენციური) ურთიერთობისთვის
- მსხვერპლთა დახმარებისა და რეაბილიტაციის გაუმჯობესებული სტრუქტურების დამკვიდრება

**აღკვეთა:**
- ადამიანით ვაჭრობის შესახებ უკეთ ინფორმირებულობა
- ადამიანით ვაჭრობის შესახებ მეტი ხელმისაწვდომი ინფორმაცია
- არასრულწლოვნების უკეთ ინფორმირება ადამიანით ვაჭრობის შესახებ
- რეგიონში ადამიანით ვაჭრობის მოდელების შესახებ მეტი ცოდნა
- ცხელი ხაზის შექმნა უსაფრთხო მიგრაციის შესახებ ინფორმაციის მისაღებად

**დაცვა**
- მსხვერპლთა გაუმჯობესებული დაცვა

- ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და მათთან ურთიერთობის გაუმჯობესებული სტანდარტები
- მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი ფარგლების გაძლიერება
- მსხვერპლთა რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის მდგრადი სისტემა
- ადამიანით ვაჭრობის არასრულწლოვან მსხვერპლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებული სისტემა
- მსხვერპლთათვის განკუთვნილ დაწესებულებათა მეტი რაოდენობა
- მსხვერპლთა კომპენსირების მექანიზმების ჩამოყალიბება

**სამართლებრივი დევნა:**

- დამნაშავეთა დევნის სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერება
- ტრეფიკინგის საქმეების მეტი რაოდენობის განხილვა სასამართლოებში
- ტრეფიკინგის შესახებ მეტი საქმეების მიწოდება შესაბამისი სტრუქტურებისთვის

**ყურადღება:** ეროვნული სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების ან გადასინჯვის დროს, ყურადღების ცენტრში ყოველთვის უნდა გყავდეთ ბენეფიციარები, სამიზნე ჯგუფები და მისი შედეგები. გამუდმებით ჰკითხეთ საკუთარ თავს, ვინ ისარგებლებს ამით, როგორ და რატომ? ბენეფიციარებისთვის სასარგებლოდ თუ ვგეგმავთ და ვასრულებთ ქმედებას? ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყველა მოქმედებამ, თუნდაც კარგი განზრახვით დაგეგმილმა, შეიძლება დაუგეგმავი უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს თქვენი სამიზნე ჯგუფისათვის.

## ინდიკატორები

ჩამოყალიბებული შედეგების შესაფასებლად საჭიროა შესაბამისი ინდიკატორები. ინდიკატორების დახმარებით უნდა დადასტურდეს, რომ სასურველი ცვლილება მიღწეულია.

მოგვიანებით უნდა მოხდეს ინდიკატორების შეფასება რაოდენობრივი ან ხარისხობრივი მაჩვენებლებით (ზოგჯერ, ორივეს კომბინირებით). ეროვნული სამოქმედო გეგმის შემთხვევაში, თქვენი ინდიკატორები უნდა იყოს შედეგისა და შედეგის მიღწევის საშუალების ნაზავი, რათა ასევე შეფასდეს კონკრეტული მიმდინარე განხორციელება.

| წინაპირობა 7 | რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები |
|---|---|

მაჩვენებლები არის მხოლოდ და მხოლოდ მინიშნებადი. საჭირო გახდება მათი ჩამოყალიბება და ჩანაცვლება თქვენი კონტექსტისათვის შესაბამისი ინფორმაციით. ინდიკატორები შეესაბამება მარეგულიერებელი სისტემის და 3 P-ს პრინციპებს, როგორც ეს ფრჩხილებშია ნაჩვენები. გახსოვდეთ, რომ როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ინდიკატორები უნდა იყოს SMART (კონკრეტული, შეფასებადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში განსაზღვრული) და დაკავშირებული იყოს ჩამოყალიბებულ შედეგებთან.

რაოდენობრივი ინდიკატორები სტატისტიკური შეფასების საშუალებაა.

**რაოდენობრივი ინდიკატორებით** აფასებთ შედეგს შემდეგი მაჩვენებლებით:

- რაოდენობა მაგალითად: ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა, რომელთაც დახმარება სპეციალურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაუწია, გაიზარდა 78-დან (2010 წლის ინფორმაცია) 100-მდე (2011 წლის ბოლოს) (წყარო: არასამთავრობო ორგანიზაციების სტატისტიკა [დაცვა]. სასამართლოში განხილულ ტრეფიკინგის საქმეთა რაოდენობა გაიზარდა 20%-ით 2011 წელს (წყარო: იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკა, 2010 წელს შეგროვებული ინფორმაცია [სამართლებრივი დევნა]

- პროცენტული მაჩვენებელი მაგალითად: ეროვნული ცხელი ხაზის მიერ მიღებული ზარების რაოდენობა გაიზარდა 25%-ით 2011 წლის ბოლოს (წყარო: სტატისტიკური მონაცემები ცხელი ხაზიდან) [პრევენცია და დაცვა].

- პროპორცია მაგალითად: ხელახლა ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა შორის შემცირდა 25%-ით 2010 და 2014 წლებში (2010 წლის წყარო და ინფორმაცია: პოლიციის სტატისტიკა [დაცვა].

ხარისხობრივი ინდიკატორები ასახავენ მოცემულ სიტუაციის და საკითხის შესახებ ადამიანთა შეფასებებს, მოსაზრებებს, აღქმას და დამოკიდებულებას.

**ხარისხობრივი ინდიკატორების** შემთხვევაში აფასებთ შედეგს შემდეგი მაჩვენებლებით:

- შესაბამისობა რაიმესთან მაგალითად: დასახეთ საერთაშორისო/ეროვნული სტანდარტები,კანონმდებლობა, პროცედურები. მაგალითად: საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებით შესაბამისობაში იქნება ხელმოწერილ კონვენციებთან და სტანდარტებთან 2013 წლისათვის. (წყარო: GRETA-ს ანგარიშები,ევროპული კონვენციის თაობაზე კომუნიკაცია/ ანგარიშები) [სამართლებრივი დევნა]

- რაიმეს ხარისხი... მაგალითად: გამოკითხულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა 80% აფასებს მიღებულ რე/ინტეგრაციის მომსახურების ხარისხს ადეკვატურად და მათი სქესის და ასაკის საჭიროებებისადმი მიზანმიმართულად (წყარო: ხარისხობრივი გამოკითხვა სახელმწიფო ფონდის მიერ) [დაცვა]; 2013 წლისათვის ტრეფიკინგის რეინტეგრირებულ მსხვერპლთა 80% კმაყოფილი იქნება სხვა და სხვა ორგანოებისაგან მიღებული დახმარებით (წყარო: სახელმწიფო ფონდის მიერ ჩატარებული ხარისხობრივი გამოკითხვა ყველა რეინტეგრირებულ მსხვერპლთან) [დაცვა] *გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ კონტექსტში მსხვერპლთა 80% არ ასახელებს ამ ინდიკატორს, როგორც ხარისხობრივს, არამედ მიიჩნევს რაოდენობრივად.*

- რაიმეს დონე, მაგალითად: ტრენინგის მონაწილეთა ცოდნის დონე ადამიანით ვაჭრობის შესახებ გაიზარდა (წყარო: კითხვარი) [პრევენცია]; შესაბამის დაინტერესებულ პირთა შორის კოორდინაცია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში გაიზარდა (წყარო: რეგულარული შეხვედრები და შეხვედრის ჩანაწერები, დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა. [მარეგულირებელი სისტემა]; ზოგადად მოსახლეობის ცნობიერების დონე ტრეფიკინგის წინააღმდეგ მთავრობის მიერ განხორციელებული მოქმედებების შესახებ გაიზარდა (წყარო: გამოკითხვა და მონიტორინგის ჩამოტვირთული ანგარიშები) [მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი სისტემა, პრევენცია]

- რაიმეს რაოდენობა მაგალითად: არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვნად გაიზრდება 2011 წლისთვის (წყარო: არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკითხვა) [მარეგულირებელი სისტემა]; მონიტორინგის შედეგების ერთობლივი, რეგულარული ანალიზი საგრძნობლად გაიზრდება 2011 წლის ბოლოსთვის (წყარო: დაინტერესებულ პირთა ანონიმური გამოკითხვა) [მარეგულირებელი სისტემა]; მსხვერპლთა გამოკითხვის სტანდარტების მასშტაბი გაიზრდება 2011 წლის ბოლოსთვის (წყარო: პოლიციის ანგარიშები, ინტერვიუს ჩანაწერები, 2010 წლის საბაზისო მონაცემები) [დაცვა].

*წყარო: UNDP- ს მასალების მიხედვით, 2009 წელი*

საჭიროების შემთხვევაში, ინდიკატორები უნდა იყოს დაყოფილი (სქესის, ასაკის, გეოგრაფიული მდებარეობის, კონკრეტული საჭიროებების ან ეთნიკურობის მიხედვით). ინდიკატორების

ჩამოყალიბებისას უნდა დაფიქრდეთ იმაზეც, თუ როგორ შეიძლება შეაფასოთ თითოეული მათგანი, რადგან თქვენს მონიტორინგსა და შეფასების გეგმაში მათი შესრულების შეფასებაც მოგიწევთ.

## მექანიზმი 8: შედეგის და ინდიკატორების ჩამონათვალი

| შედეგების და ინდიკატორების შეფასების სწრაფი ჩამონათვალი | დიახ | არა |
|---|---|---|
| შედეგები და მათი ინდიკატორები არიან კონკრეტული, შეფასებადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში განსაზღვრული (SMART) | | |
| შედეგები განსაზღვრავს მუშაობის არეალს, სადაც ყველა შესაბამის დაწესებულებას და პარტნიორს შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს | | |
| შედეგები ისეა განმარტებული, რომ ისინი გამოხატავენ თუ რა შეიცვალა, ვისთვის და როდის | | |
| შედეგები ზუსტად მიმართავს მამაკაცთა, ქალთა და/ან მარგინალური ჯგუფების კონკრეტულ ინტერესებს. | | |
| შედეგები შეეხება ინსტიტუციონალური შესაძლებლობების და ქცევის ცვლილებებს, რამაც ქვეყანაში (ან რეგიონში, თუ შეესაბამება) მნიშვნელოვანი გაუმჯობესება უნდა გამოიწვიოს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში | | |
| შედეგები მიმართულია პირობების და შესაძლებლობების ცვლილებისკენ და არა პროდუქტის და მომსახურების მიწოდებისაკენ | | |
| შედეგებს გააჩნია ინდიკატორები, რომლებიც აღნიშნავენ, როგორ შეფასდება სასურველი ცვლილება | | |
| შედეგები და მათი ინდიკატორები ნათლად გამოხატავს, თუ როგორი უნდა იყოს მომავალი და არაა ყველაფრისმომცველი ზოგადი ხასიათის | | |
| არსებობს ინდიკატორები, რომლითაც ფასდება როგორც შედეგის მიღწევის საშუალების მიღების პროცესი (მაგალითად, რამდენი რა გაკეთდა), ასევე წარმოებულის ხარისხი და/ან ეფექტი (მაგალითად, გამოყენების დონე ან მომხმარებლის კმაყოფილება წარმონაქმნით). | | |

*წყარო: ადაპტირებულია UNDP- ს მასალებიდან 2009*

### შედეგის მიღწევის საშუალება

ქმედებების საშუალებით წარმოებული ან განხორციელებული მომსახურეობები და/ან საშუალებები, რომლებიც გამოიყენება შედეგის მისაღწევად და სასურველი ცვლილების მისაღებად.

**ღონისძიებები**

ჩამოაყალიბეთ ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ინდიკატორების მიღწევას და გამოიწვევს განსაზღვრული შედეგის მიღწევის საშუალების წარმოქმნას. ზოგჯერ სასარგებლო იქნება, განვსაზღვროთ მასშტაბური ღონისძიების ქვე-მოქმედებები. ერთი ღონისძიებისთვის შეიძლება რამოდენიმე მოქმედება იყოს საჭირო, მაგრამ ზოგჯერ ერთი მოქმედებით შეიძლება რამდენიმე ინდიკატორი დავაკმაყოფილოთ.

**ვალდებულებები**

ჩვეულებრივ, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში რამდენიმე მონაწილე არის ჩაართული – სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამიტომ, სხვადასხვა ინდიკატორებისა და ღონისძიებებისთვის პასუხისმგებლობა ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული.

**ვადა**

მიუთითეთ ყველა ღონისძიების განხორციელების ვადა. ღონისძიებები თანმიმდევრულად დაგეგმეთ და იყავით მაქსიმალურად ზუსტი და რეალისტური ვადებთან დაკავშირებით.

**რესურსები**

ყველა გეგმის განსახორციელებლად საჭიროა ფინანსური და ადამიანური რესურსები. ხშირად ეროვნული სამოქმედო გეგმა თანადაფინანსებულია სხვადასხვა ორგანიზაციის, მთავრობისა და რამდენიმე დონორის მიერ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის (მიახლოებითი, მაგრამ რეალისტური) შედგენა, რათა შევაფასოთ საჭირო რესურსები და/ან მოვითხოვოთ სამოქმედო გეგმის ამა თუ იმ ნაწილის დაფინანსება.

# V

# ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

V

# ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

ამ სახელმძღვანელოს მე-5 ნაწილი განიხილავს მონიტორინგის სხვადასხვა ფაზებს და გვთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს იმის შესახებ, თუ რა გავაკეთოთ, როგორ, ვისთან ერთად და როდის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის წარმატებული მონიტორინგისთვის.

## მონიტორინგის ფაზები

მონიტორინგი მიმდინარე პროცესია, რომელმაც უნდა გვაჩვენოს დაგეგმილი შედეგების მიღწევის პროგრესი. მონიტორინგი შეიძლება რამდენიმე ეტაპად დავყოთ:

**გეგმა**

ა) მომზადება: განისაზღვრება, თუ როგორ უნდა გაუკეთდეს მონიტორინგი ეროვნული სამოქმედო გეგმის შედეგებს. მათ შორის, განისაზღვრება პასუხისმგებლობები, კომუნიკაციები და სტრუქტურები ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის.

**შესრულება**

ბ) განხორციელება: ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების მუდმივად შეგროვება ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში.

**შემოწმება**

გ) ანგარიშგება: შეგროვებულ მონაცემთა და მათი შესაძლო ნაკლებობის ანალიზი მონიტორინგის ანგარიშის მომზადების დროს.

**მოქმედება**

დ) გადახედვა: მონიტორინგის ანგარიშის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, შესაძლოა საჭირო გახდეს სტრატეგიისა და გეგმის გადახედვა, რაც უკავშირდება ადამიანებით ვაჭრობის სფეროში პრაქტიკისა და განვითარების ცვლილებებს.

განსაზღვრულ ფაზებს სხვადასხვა საჭიროებები და ქმედებები ახასიათებთ. მართალია, სავალდებულო არაა, ეს ფაზები ერთმანეთის მიყოლებით ხორციელდებოდეს, თუმცა ზოგჯერ ისინი ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, ფაზები და განსახორციელებელი ღონისძიებები ქვემოთმოყვანილი მონიტორინგის ციკლის ნაწილია:

სურათი 1: მონიტორინგის და შეფასების ციკლი



**ყურადღება:** მონიტორინგის ციკლის ფაზები, ისევე როგორც მათი თანმიმდევრობა უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ სახელმძღვანელოდ, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ფაზები არ იყოს ერთმანეთისაგან ნათლად გამიჯნული და ემთხვეოდნენ ერთმანეთს. მთავარია, ვიცოდეთ, რომ ეს არის პროცესი, რომელიც მოითხოვს დაკვირვებასა და განსაზღვრულ დროს განსაზღვრული ქმედების განხორციელებას.

## ა) მოსამზადებელი ფაზა

### რა

მოსამზადებელი ფაზა ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების წარმატების საფუძველია.

საერთო ჯამში, მოსამზადებელ ეტაპზე თქვენ უნდა განახორციელოთ შემდეგი:

**ჩამოაყალიბეთ მონიტორინგისა და შეფასების გეგმა მონიტორინგის სისტემისთვის შესაბამისი მონაწილეების ჩართვით:**

- განსაზღვრეთ ჩაატაროთ თუ არა მიმოხილვა და/ან შეფასება და როდის;
- განსაზღვრეთ მონაცემთა თქვენეული წყაროები ინდიკატორებისთვის (დადასტურების საშუალებები), საფუძველი და თქვენი მიზნები;
- გადაანაწილეთ კონკრეტული მოვალეობები მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშგებისათვის (ვინ ვისთან და რაზეა ანგარიშვალდებული);
- დააწესეთ ანგარიშგების ვადები;
- განსაზღვრეთ თქვენი კომუნიკაცია.

# როგორ

## ჩამოაყალიბეთ მონიტორინგის და შეფასების გეგმა მონიტორინგის სისტემის აგებისათვის

ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის მონიტორინგის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, უპირველეს ყოფლისა, უნდა დარწმუნდეთ, რომ ის მთლიანად ეფუძნება ეროვნული სამოქმედო გეგმის საბაზისო პრინციპებსა და სტრუქტურას, რომლებიც ამ სახელმძღვანელოს მე-4 ნაწილშია მოცემული.

მონიტორინგის თქვენეული სისტემის განსაზღვრისათვის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში დაინტერესებულ სხვა მხარეებთან ერთობლიობაში ჩამოაყალიბეთ მონიტორინგისა და შეფასების გეგმა. აქ ძალიან მნიშვნელოვანია ერთობლივი მიდგომა, რადგან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებზეა დამოკიდებული. ამ მონაწილეებმა მთავარი როლი უნდა ითამაშონ მონიტორინგისათვის საჭირო მონაცემების შეგროვებაში.

მონიტორინგის გეგმა ძირითადად ეროვნული სამოქმედო გეგმის სტრუქტურას ეფუძნება და იყენებს მის შედეგებს, საშუალებებს, ღონისძიებებს და ინდიკატორებს. თუმცა, მონიტორინგისა და შეფასების გეგმა უფრო კონკრეტული უნდა იყოს ინდიკატორების შეფასებისა და განმხორციელებელი პირების საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განიხილეთ და შეავსეთ გეგმა ინფორმაციით, რომელსაც შემდგომში გადასადგმელი ნაბიჯების მიხედვით განსაზღვრავთ.

| მექანიზმი 9: | მონიტორინგის და შეფასების გეგმა – ნიმუში. |
|---|---|
| ნიმუშისთვის იხილეთ ნაწილი VII. შეცვალეთ ის თქვენი საჭიროებისა და სიტუაციის შესაბამისად. | |

<u>განსაზღვრეთ ჩაატარებთ თუ არა მიმიხოლვას და/ან შეფასებას</u>

გეგმისთვის უნდა განსაზღვროთ, გსურთ თუ არა ეროვნული სამოქმედო გეგმის მიმოხილვა და/ან შეფასება. შეფასება შეიძლება

იყოს ერთი მხრივ შიდა ან გარე და მეორე მხრივ, შუალედური ან საბოლოო. ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად უნდა გაირკვეს: ა) მიმოხილვის და/ან შეფასების მიზანი; ბ) ეროვნული სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა და დაგეგმილი ზემოქმედება მოითხოვს თუ არა შეფასებას; და გ) რა რესურსებია ხელმისაწვდომი. მიმოხილვისა და შეფასებას შორის არსებული განსხვავებების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეპუნქტი დ) „მიმოხილვა" და ნაწილი VI შეფასების შესახებ.

<u>ინდიკატორების, საწყისი მონაცემებისა და მიზნების შეფასებისათვის განსაზღვრეთ მონაცემთა თქვენი წყაროები</u>

ინდიკატორების შეფასების პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილია **მონაცემთა შესაბამისი წყაროების** (დადასტურების საშუალებების) განსაზღვრა. ამისთვის უნდა გადაწყვიტოთ, თუ კონკრეტულად რისი შეფასება გსურთ, რათა აჩვენოთ ინდიკატორების მიღწევა და განსაზღვროთ, ყველაზე უკეთ რომელი წყაროებით მიიღეთ მონაცემები. საერთოდ, მნიშვნელოვანია გამოიყენოთ მონაცემები არსებული წყაროებიდან (მაგრამ ისინი სანდო მონაცემები უნდა იყოს), მაგალითად: სტატისტიკის სამსახურებში, ადრე შენახულ ჩანაწერებში და ა.შ. ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლებელია უკვე არსებობდეს საინფორმაციო ბაზა გარკვეულ მონაცემებზე, მაგალითად: მსხვერპლთა ან ადამიანით მოვაჭრეთა შესახებ მონაცემთა ბაზა. მსგავსი ბაზების შექმნა დაგეგმილია საქართველოშიც. მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში შექმენით თქვენი საკუთარი მონაცემთა ბაზა ან ჩაატარეთ ცალკე შეფასება, მაგრამ ამისთვის უნდა გაგაჩნდეთ საჭირო რესურსები!

იმ შემთხვევებში, როდესაც ქვეყანაში უკვე ჩამოყალიბებულია ინფორმაციისა და მონაცემთა შეგროვების პროცესი, ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მონაცემთა წყაროები შეძლებისდაგვარად უნდა მოიცავდეს არსებულ პროცესს.

მომდევნო, მაგრამ წინასთან დაკავშირებული, ნაბიჯია **საწყისი მონაცემების** განსაზღვრა, ანუ მოტანილი ინფორმაციის მიმდინარე სტატუსის დადასტურება. იგი ასახავს მონაცემებს, რომლებსაც თქვენი ინდიკატორები დროის კონკრეტულ მომენტში შეეხება. თუ ინდიკატორი მიუთითებს თავშესაფრების მზარდ ხელმისაწვდომობას, აღნიშნეთ თავშესაფრების არსებული რაოდენობა ან თითოეულ თავშესაფარში თავისუფალი ადგილის რაოდენობა

მოცემულ მომენტში. საწყისი ინფორმაცია მნიშვნელოვანია, რადგანაც ის გაძლევთ სტატუსის აღწერილობას მოქმედების და სამოქმედო გეგმის განხორციელებამდე.

შემდეგი ნაბიჯია, თქვენი **მიზნების** განსაზღვრა (მიზნების ჩამოსაყალიბებლად გადახედეთ საშუალებებს და განსაზღვრულ ინდიკატორებს). სასურველი მიზნებია, მაგალითად, პროცენტული მაჩვენებლის ან რაიმე გარკვეული რაოდენობის ზრდა. ასევე უნდა აღნიშნოთ,რა ვადაში უნდა იქნას მიზანი მიღწეული. სამოქმედო გეგმის ხანგძლივობიდან გამომდინარე, შეგიძლიათ პროცენტული მაჩვენებლების/რიცხვების წლების მიხედვით განსაზღვრა ან კონკრეტული პროცენტული მაჩვენებლის ან რიცხვის დაგეგმვა განხორციელების პერიოდის ბოლოსთვის. თუმცა ზოგჯერ სასურველია მოქმედებების თანმიმდევრობის დაცვა, რათა გარკვეული იყოს რა რას მოსდევს. ასე რომ, იყავით მაქსიმალურად კონკრეტული. მიზნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: პროცენტული ზრდა წლის ბოლოსთვის; ტრენინგთა X რაოდენობის ჩატარება (თვეში/წელიწადში). მნიშვნელოვანია დასახოთ რეალური და შესაბამისი მიზნები!

<u>განსაზღვრეთ კონკრეტული ვალდებულებები მონაცემთა შესაგროვებლად</u>

მონაცემთა იდენტიფიცირებული წყაროების კუთხით, სხვადასხვა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს შესაძლოა მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ მონაცემების რეგულარულად მოწოდების თვალსაზრისით. მაგალითად, შეიძლება სამინისტრო თუ სხვა სამთავრობო დაწესებულება ან არასამთავრობო ორგანიზაცია ჩართული იყოს მსხვერპლთათვის თავშესაფრის უზრუნველყოფის საქმეში. თავშესაფარს მმართველი ორგანო მოგაწოდებთ ინფორმაციას იმ მსხვერპლთა რაოდენობაზე, ვისაც გაეწია მომსახურება და მომსახურების სახეობების შესახებ.

ამიტომ, გეგმისთვის უნდა განსაზღვროთ შესაბამისი დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც რეგულარულად მოგაწოდებთ ინფორმაციას. თუ შესაძლებელია, ჩამოწერეთ ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მონაცემთა მოწოდებასა და განხილვაზე. თუ გეგმაში მთლიანად დაწესებულებას ან ორგანიზაციას მიუთითებთ, არ გექნებათ კონკრეტული პასუხისმგებელი პირი, რაც შეამცირებს მონიტორინგის ხარისხს. შეავსეთ შესაბამისი გრაფა (მონაცემთა შეგროვებაზე პასუხისმგებელი

პირი) გეგმაში, რომელიც შეესაბამება ინფორმაციას, რომელზეც პასუხისმგებელი დაინტერესებული პირი ანგარიშს გაწევდით.

მეტიც, ანგარიშის წარმოდგენის ნაწილში უნდა დააკონკრეტოთ, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში ვის წინაშე არის ანგარიშვალდებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირი.

<u>განსაზღვრეთ ანგარიშის მომზადების ვადები</u>

მონაცემთა რეგულარულად შეგროვებისთვის უნდა განსაზღვროთ ანგარიშის მომზადების მკაცრი და ზუსტი ვადები. ჩვეულებრივ, მონიტორინგის წლიური ანგარიში მზადდება პარლამენტის, მინისტრთა კაბინეტის და ზოგჯერ, პრეზიდენტის ინფორმირებისთვისაც. მონიტორინგის წლიური ანგარიში ეფუძნება მონაცემებს, რომლებიც შეგროვდა იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ, რომლებიც მითითებულია (გ) ნაწილში. თუმცა, მონიტორინგის მიმდინარეობის გასაუმჯობესებლად, მონაცემები მუდმივად და რეგულარულად უნდა გროვდებოდეს. ამიტომ მონიტორინგის კვარტალური ანგარიში უნდა მიეწოდოს მონიტორინგის წლიურ ანგარიშზე პასუხისმგებლ პირს.

თუმცა, ხარისხის უზრუნველსაყოფად და/ან ეროვნული გეგმის განხორციელებში არსებული ხარვეზების გამოსავლენად, ეს პირი ან სტრუქტურა (საკოორდინაციო საბჭო საქართველოში) რეგულარულად უნდა ამოწმებდეს მონიტორინგის ამ კვარტალურ ანგარიშებს. საჭიროების შემთხვევაში, ეს ინფორმაცია ქმნის განხორციელებაზე დაკვირვების საფუძველს.

<u>განსაზღვრეთ კომუნიკაციის საშუალებები</u>

მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგისა და შეფასების გეგმაში დაკონკრეტდეს, ვინ ვისთან ახდენს კომუნიკაციას და რა საკითხზე. ეს დამოკიდებულია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სტრუქტურაზე. რაც უფრო მეტი მონაწილეა ჩართული მასში, მით უფრო აუცილებელია ასეთი დაკონკრეტება.

განიხილეთ და დააზუსტეთ, თუ ვინ ვის წარუდგენს მონიტორინგის რეგულარულ ანგარიშებს, ვის მივმართოთ განხორციელების სირთულეების შემთხვევაში და ა.შ. არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა: კომუნიკაცია შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ცენტრალიზებული სქემით, როდესაც პასუხისმგებელი ერთი ადამიანი და მისი დამხმარე სტრუქტურული ერთეულია (რომლის ნაკლი არის ის, რომ ძალიან დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს რამდენიმე

ადამიანს, რომლებიც ყველაფრის კოორდინირებას და კომუნიკაციას აწარმოებენ). მეორე ალტერნატიული სქემა გულისხმობს ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების მართვის გადაცემას 3 "P"-ს (პრევენცია, დაცვა, სამართლებრივი დევნა) სტრუქტურების ან მათი ქვესტრუქტურებისთვის, რომლების საბოლოოდ ანგარიშვალდებულნი არიან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

რადგან ამის გაკეთების მრავალი გზა არსებობს, საჭიროა მათი განხილვა, დაკონკრეტება, ასახვა (მაგალითად გეგმაში) და პროცესის ყველა მონაწილის ინფორმირება.

## როდის

იდეალურ შემთხვევაში მონიტორინგისა და შეფასების გეგმა უნდა განისაზღვროს ეროვნული სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების შემდეგ და განხორციელების დაწყებამდე.

თუმცა მონიტორინგის გეგმის ჩამოყალიბება შესაძლებელია და, თუ მანამდე არ გაკეთებულა, აუცილებელია განხორციელების დაწყების შემდეგაც. გეგმა შეიძლება (და თუ ეს არ მოხდა მანამდე სავალდებულოც), გადაისინჯოს მონიტორინგის პირველი კვარტალური ანგარიშის შემდეგ, რათა შეტანილი იქნას საჭირო ცვლილებები პასუხისმგებელი პირებისა თუ სტრუქტურების ან მსგავს საკითხებში. ზოგადად, ასეთი გეგმა ცოცხალი და ცვალებადი დოკუმენტია. იგი აუცილებლად უნდა შეიცვალოს ეროვნულ სამოქმედო გეგმაში რაიმე ცვლილების შეტანის შემთხვევაში.

## ვინ

მონიტორინგის გეგმის ჩამოყალიბება ინიცირებული უნდა იყოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეროვნული სისტემის უმაღლესი სტრუქტურის/თანამდებობის პირის მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სტრუქტურები არსებობს, იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი პირით ან სამუშაო ჯგუფით, როგორიცაა ეროვნული კოორდინატორი ან უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო (მაგ. საქართველოში). თუმცა, ორივე შემთხვევაში, გეგმის შემუშავების ინიციატივა შეიძლება ერთ პირს ეკისრებოდეს, რომელიც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეშია ჩართული.

რადგანაც განხორციელება ერთობლივად უნდა მოხდეს და მოიცავდეს შესაბამის მონაწილეებს, დაინტერესებული პირები წარმოადგენენ პროცესის ნაწილს.

თუმცა, ტრეფიკინგის შესახებ წლიური ანგარიშის მომზადების სხვა წარმატებული მოდელია ეროვნული მომხსენებლის დანიშვნა, რომელიც დამოუკიდებლად აგროვებს ინფორმაციას და ყოველწლიურად უგზავნის მთავრობას ანგარიშს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ზომებისა და ქვეყანაში ტრეფიკინგის მასშტაბის შესახებ (იხილეთ წინაპირობა 6: ჰოლანდიური მოდელი).

**წინაპირობა 6: ჰოლანდიური მოდელი: ადამიანებით ვაჭრობის შესახებ ეროვნული მომხსენებელი ნიდერლანდებში**

სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალთა ტრეფიკინგის პრევენციის და აღმოფხვრის ეფექტიანი ზომებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების თაობაზე 1997 წლის ჰააგის დეკლარაციის რეკომენდაციების (ჰააგის დეკლარაცია) შესაბამისად, 2000 წლის 1 აპრილს ნიდერლანდების მთავრობამ დანიშნა ეროვნული მომხსენებელი “რომელიც მოახსენებდა მთავრობას ქალთა ტრეფიკინგის მასშტაბის, პრევენციის და აღკვეთის შესახებ” (III.1.4.). მომხსენებლი დამოუკიდებელი თანამდებობაა და ანგარიშვალდებულია ნიდერლანდების მთავრობის წინაშე, რომელიც თავის მხრივ წარდგენილ ანგარიშს აცნობს პარლამენტს. მეტიც, ეროვნული მომხსენებლის ყველა ანგარიში საჯაროა მომხსენებლის ვებ-გვერდზე (http://english.bnrm.nl/reports). თუმცა, ეროვნულ მომხსენებელს არ გააჩნია უფლებამოსილება აწარმოოს სისხლის სამართლის გამოძიება. იგი არც საჩივრების განმხილველი ორგანოა.

**ყურადღება:** ქალთა ტრეფიკინგის შესახებ ეროვნული მომხსენებლის დანიშვნა ჰააგის დეკლარაციის რეკომენდაცია იყო. ნიდერლანდებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ეროვნული მომხსენებლის მანდატი და მიანიჭა მას ზოგადად ადამიანით ვაჭრობის, მათ შორის, ქალთა, მამაკაცთა და ბავშთა ტრეფიკინგის საკითხებზე მუშაობის უფლებამოსილება. ტრეფიკინგის საკითხებზე ეროვნული მომხსენებლის თანამდებობა შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანო, როგორც ნიდერლანდებში, ან როგორც სამთავრობო სტრუქტურა ან სამინისტრო,

როგორც შვედეთში. შვედეთმა, როგორც ჰააგის დეკლარაციის შემსრულებელ პირველმა ქვეყანამ, ქალთა ტრეფიკინგის შესახებ ეროვნული მომხსენებლის ფუნქცია მიანიჭა ეროვნულ პოლიციას. ორივე მოდელის სხვადასხვა უპირატესობების მიუხედავად, მნიშვნელოვანია, რომ სახელდება ერთი პასუხისმგებელი პირი, რომელიც შეასრულებს ეროვნული მომხსენებლის ფუნქციას. იგი პასუხისმგებელია რეგულარულად და გამჭვირვალედ შეაგროვოს ინფორმაცია, გაანალიზოს იგი და მოამზადოს შესაბამისი წლიური ანგარიშები პარლამენტისათვის (პრეზიდენტისათვის) წარსადგენად. შესაბამისად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნულ მომხსენებელს, იქნება იგი დამოუკიდებელი ორგანო თუ დასახელდება მთავრობის სტრუქტურის შიგნით, აკისრია მონიტორინგის მნიშვნელოვანი ფუნქცია და უზრუნველყოფს ადამიანებით ვაჭრობის სფეროს გამჭვირვალეობას, მონიტორინგს და ანალიზს. თუმცა, პოზიცია დამოუკიდებელი უნდა იყოს პოლიტიკის განსაზღვრისაგან, განხორციელებისაგან და ოპერატიული სტრუქტურებისაგან და შესაბამის პირს უნდა შეეძლოს გასცეს რეკომენდაციები ეროვნული პოლიტიკის და სამოქმედო გეგმების შესახებ. ეს გულისხმობს, რომ განმახორციელებელ, ოპერატიულ სტრუქტურებს დასჭირდებათ მიზნების საკუთარი მონიტორინგი.

**წინაპირობა 7: ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სისტემა საქართველოში – მიმოხილვა**

<u>საკოორდინაციო სტრუქტურა:</u>

საქართველოში, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო არის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი ეროვნული სტრუქტურა და ასევე, წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანოს. ის ჩამოყალიბდა 2006 წლის სექტემბრის პრეზიდენტის ბრძანებულებით. იუსტიციის მინისტრი (ყოფილი გენერალური პროკურორი) საბჭოს თავმჯდომარეა.

საკოორდინაციო საბჭოს სრულუფლებიანი წევრები არიან: იუსტიციის სამინისტრო (პროკურატურის ჩათვლით), შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, განათლების და მეცნიერების სამინისტრო და საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საბჭოს ასევე მოწვეული ჰყავს საერთაშორისო ორგანიზაციების (შეერთებული შტატების დახმარების სააგენტო, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ეუთო, ევროპის საბჭო და ევრო კომისია), ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, არასამთავრობო ორგანიზაციების (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და თანადგომა), ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები.

საბჭოს ვალდებულებაა შესაბამისი სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავება, მათი განხორციელება და მიღწეული პროგრესის შესახებ ანგარიშის მომზადება. საბჭოს შიგნით ჯერ ჯერობით არაა არჩეული მონიტორინგის და შეფასების კონკრეტული ჯგუფი, არც ეროვნული მომხსენებელია დანიშნული, რომელმაც უნდა მოამზადოს ანგარიში ამ საკითხის შესახებ, შეიმუშაოს ეროვნული სამოქმედო გეგმა და განახორციელოს იგი. თუმცა, საბჭო რეგულარულად იღებს კვარტალურ ანგარიშებს ხელმწიფო სტრუქტურებისაგან და აანალიზებს მათ. ინფორმაცია გამოიყენება საქართველოში ტრეფიკინგის შესახებ წლიური ანგარიშის მომზადებისათვის.

<u>სახელმწიფო ფონდი:</u>

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების სახელმწიფო ფონდი საქართველოში ჩამოყალიბდა 2006 წელს, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად. იგი ჩამოყალიბდა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შრომის, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო კურირებს ფონდის საქმიანობას.

ფონდის მიზანია განახორციელოს ეფექტიანი ქმედებები ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის, დახმარების და რეაბილიტაციისათვის. საქართველოში არსებობს ორი თავშესაფარი ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების და დაცვისათვის. ერთი მათგანი ფუნქციონირებს დასავლეთ საქართველოში 2006 წლიდან, მეორე კი – აღმოსავლეთ საქართველოში 2007 წლიდან. თავშესაფრები სახელმწიფო ფონდის სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ.

ეროვნული რეფერალური მექანიზმი:
ეროვნული რეფერალური მექანიზმი საქართველოში 2007 წელს ჩამოყალიბდა მსხვერპლთა რეაბილიტაციის და საზოგადოებაში რეინტეგრაციის მიზნით. სტრატეგია და ეროვნული რეფერალური მექანიზმი შეესაბამება საქართველოს კანონს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. კანონის 4.2. მუხლის თანახმად, სახელმწიფო ჩართული უნდა იყოს ტრეფიკინგის პრევენციაში, მსხვერპლთა უფლებების დაცვაში, მათთვის დახმარების გაწევაში და რეაბილიტაციის გაიოლებაში. შესაბამისად, მექანიზმი მოიცავს ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის, დაცვის და რეაბილიტაციის ღონისძიებებს და ამ მიზნით იყენებს სახელმწიფო რესურსებს (კომპენსაციის ჩათვლით). პროცესში ასევე მონაწილეობს ბევრი სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია.

ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზანია მდგომარეობის გაუმჯობესება აღკვეთის, დაცვის და სამართლებრივი დევნის სფეროებში.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის (2010 წლის ივნისი) მე-10 გამოცემაში ადამიანებით ვაჭრობის შესახებ საქართველო თანმიმდევრულად მეოთხეჯერ დასახელდა პირველ კალათაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში, სამართლებრივი სტანდარტების დაცვის, სამართლებრივი დევნის, მსხვერპლთა დახმარების და პრევენციის წარმატებული ღონისძიებების გამო.

# მოსამზადებელი ეტაპის ძირითადი კითხვები და ნაბიჯები

| კითხვები | ნაბიჯები |
|---|---|
| გაქვთ თუ არა მონიტორინგის და შეფასების გეგმა? | დარწმუნდით, რომ მასში განსაზღვრულია შესაგროვებელი მონაცემები, როლები, მონაწილეთა მოვალეობები და ზუსტი და კონკრეტული ვადები |
| თუ არა გაქვთ მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, უნდა გაკეთდეს შემდეგი: | |
| თქვენ ეროვნული სამოქმედო გეგმის გადასინჯვა გჭირდებათ თუ შეფასება (შუალედური, საბოლოო, შიდა და გარე), თუ ორივე მათგანი? | ასახეთ თქვენი გადაწყვეტილება გეგმაში (გამოიყენეთ მე-7 ნაწილში მოყვანილი შაბლონი) |
| რა მონაცემები გჭირდებათ სამოქმედო გეგმის ეფექტიანი მონიტორინგისთვის? | გაანალიზეთ თქვენი ეროვნული სამოქმედო გეგმა და განსაზღვრეთ ინდიკატორთა შეფასებისთვის საჭირო სხვადასხვა მონაცემები. დაადგინეთ, რომელი წყარო მოგაწვდით მონაცემებს. განიხილეთ შედეგებზე ორიენტირებული მონაცემები. |
| რა მონაცემები მოიპოვება ეროვნული სტატისტიკის სისტემაში ან ტრეფიკინგის მონაცემთა ბაზაში? რამდენად სანდოა მონაცემები? | გაანალიზეთ, რომელი საჭირო მონაცემების მიღება არის შესაძლებელი ეროვნული სტატისტიკის სისტემიდან ან ტრეფიკინგის მონაცემთა ბაზიდან. გახსოვდეთ: ადამიანით ვაჭრობის შესახებ მონაცემები უნდა იყოს კონკრეტული და უნდა ითვალისწინებდეს სქესს, ასაკს, მოქალაქეობას და ა.შ. |
| მონაცემების რა დამატებითი (გარე) წყაროები არსებობს? კიდევ ვის შეუძლია მონაცემთა მოწოდება? | შეამოწმეთ კიდევ რომელ დაწესებულებებს/ორგანიზაციებს შეუძლიათ საჭირო ინფორმაციის მოწოდება ან მათ რეგულარულ შეგროვებაში დახმარება. ჩართეთ ისინი, თუ აქამდე არ არიან სამუშაო ჯგუფში/კომიტეტში ჩართული. |
| ვინ უნდა იყოს ჩართული საჭირო მონაცემების რეგულარულ შეგროვებაში? | განსაზღვრეთ კონკრეტულად და ზუსტად თქვენი ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის მონაცემთა შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი. პასუხისმგებელი პირი უნდა დასთანხმდეს თავის დანიშვნას. |

| | |
|---|---|
| **რა ინსტიტუციონალური ვალდებულებები არსებობს? ვინ უნდა მოამზადოს ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში, ვისთვის და როდის?** | ✓ განსაზღვრეთ ანგარიშგების ვალდებულებები (ეროვნულ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე).<br>✓ განსაზღვრეთ პასუხისმგებელი დაწესებულება/სტრუქტურა,რომელიც მოამზადებს საბოლოო ანგარიშს ეროვნული სამოქმედო გეგმის ეროვნულ დონეზე განხორციელების შესახებ.<br>✓ განსაზღვრეთ ვინ უნდა მიიღოს ანგარიში (მაგალითად წლიური ანგარიში პარლამენტისთვის, მთავრობისთვის და/ან პრეზიდენტისთვის; მონიტორინგის კვარტალური ანგარიში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრუქტურისადმი).<br>✓ განსაზღვრეთ ანგარიშის ჩაბარების ვადა. |
| **როდის არის საჭირო მონაცემები (რეგულარულად, წლიურად და/ან კვარტალურად)?** | ✓ განსაზღვრეთ მონიტორინგის ერთ წელზე ნაკლები ყველა ანგარიშის ვადები (მაგალითად კვარტალური თარიღები).<br>✓ განსაზღვრეთ, როდის არის საჭირო ეროვნული ანგარიშისთვის (წლიური ანგარიშის შესაბამისი მონაცემებისთვის დასახეთ საბოლოო ვადა ერთი თვით ადრე მის წარდგენამდე, რეგულარული ანგარიშგებისას ეს არ იქნება საჭირო). |
| **ვის დასჭირდება მონაცემები? რა სახით და ფორმატით უნდა გაკეთდეს ანგარიში ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ?** | განსაზღვრეთ ვის და როგორ (რა ფორმატით) სჭირდება მონაცემების მიღება? თუ ფორმატი არაა განსაზღვრული, განიხილეთ საჭირო ფორმა მიმღებ ორგანოსთან ერთად. |
| **გაითვალისწინეთ თუ არა ყველაფერი, რაც საჭიროა თქვენი ეროვნული სამოქმედო გეგმის ეფექტიანი მონიტორინგისთვის?** | ყველა საჭირო დეტალის გათვალისწინებით, ჩამოაყალიბეთ მონიტორინგისა და შეფასების გეგმა. შეიყვანეთ მოპოვებული მონაცემები ფორმატში (იხილეთ ნიმუში მე-7 ნაწილში), გაუზიარეთ და თუ საჭიროა, კიდევ ერთხელ განიხილეთ დასრულებული გეგმა პროცესში ჩართულ მონაწილეებთან ერთად. |

## ბ) განხორციელების ფაზა

### რა

განხორციელების ფაზა გულისხმობს შემდეგ ნაბიჯებს:

**რეგულარულად შეაგროვეთ საჭირო ინფორმაცია, როგორც ეს მონიტორინგის და შეფასების გეგმაშია მითითებული:**

- დაიცავით შესაბამისი სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობა ადამიანით ვაჭრობის სფეროში ინფორმაციის შეგროვებისა და გაცემისათვის;
- მიაწოდეთ ინფორმაცია მონაცემთა შეგროვებასა და გადაცემაში ჩართულ ყველა დაწესებულებას/ორგანიზაციას შესაბამისი სტანდარტების, კანონმდებლობისა და საჭირო პროცედურების შესახებ და თუკი საჭიროა, ჩაუტარეთ მათ ტრენინგი.
- კოორდინირება გაუწიეთ ინფორმაციის შეგროვებას სხვადასხვა ჩართულ მონაწილეებს შორის (სხვადასხვა სამინისტროები, პოლიცია, სასაზღვრო პოლიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები).

**მონიტორინგის პროგრესის შესახებ ანგარიში შეასრულეთ მონიტორინგის გეგმაში განსაზღვრულ ვადებში და წარუდგინეთ ანგარიში შესაბამის ეროვნულ ორგანოს.**

### როგორ

არსებობს შესაბამისი სტანდარტები, რომელიც უნდა დაიცვათ მონიტორინგისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის დროს. საჭიროების შემთხვევაში დაატრენინგეთ შესაბამისი დაწესებულებები და პასუხისმგებელი პირები:

- ინფორმაციის შეგროვების პროცესი უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი. მონაცემთა შეგროვებაზე დახარჯული დრო და მცდელობა გამართლებული უნდა იყოს შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგებით. ამიტომ თქვენ უნდა გამოიყენოთ

სხვების მიერ შეგროვილი ნებისმიერი მონაცემი, მაგრამ დარწმუნდით, რომ შესაბამისი სტანდარტები დაცულია მონაცემთა შეგროვების დროს.

- სამართლებრივი დებულებები ჩვეულებრივ არეგულირებს პირადი მონაცემების და ასევე, (პოტენციური) მსხვერპლების შესახებ ინფორმაციის დაცვას. მათი არსებობა და რეგულირების ფარგლები განსხვავდება ქვეყნებს შორის. მონაცემთა დაცვის შესახებ ეროვნული სამართლებრივი დებულებების გარდა (რომელიც თუ ჯერ კიდევ არ არსებობს, ან არ არის ჰარმონიზებული საერთაშორისო ან ევროკავშირის სტანდარტებთან, შეიძლება მოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო იყოს სამოქმედო გეგმაში), (პოტენციურ) მსხვერპლებთან ურთიერთობის დროს გამოყენებული უნდა იქნას ეთიკის საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპები (მაგალითად, გაეროს სტანდარტები[6]). აღნიშნულიდან გამომდინარე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებები დაცული უნდა იყოს მონაცემთა შეგროვების დროს. ტრეფიკინგის (პოტენციური) მსხვერპლი პირები უნდა დათანხმდნენ ინტერვიუს და უნდა განაცხადონ თანხმობა როგორც მათი პირადი მონაცემების შეგროვებაზე, ისე მომავალში ამ მონაცემების გამოყენებაზე. მონაცემები, როგორც უსაფრთხოების და ადამიანის უფლებების საზომი, ანონიმურად უნდა იყოს დაცული. ხშირად მსხვერპლები ტრავმირებული არიან. ამიტომ, ქვემოთ მოყვანილი პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ინტერვიუს აღების დროს, რათა არ მოხდეს მსხვერპლის ხელახალი ტრავმირება.

ტრეფიკინგის მსხვერპლთან ეთიკური და უსაფრთხო ინტერვიუს ჩატარების ათი პრინციპი არსებობს:

---

[6] გაეროს სტრუქტურებმა შექმნეს რამდენიმე სახელმძღვანელო, მაგალითად: 2008 წლის UNIAP -ს სახელმძღვანელო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ეთიკის და ადამიანის უფლებების დაცვის თაობაზე: http://www.no-trafficking.org/reach_micro/uniap_ethics_guidelines.pdf; ადამიანის უფლებების საკითხებზე უმაღლესი კომისრის მიერ 2002 წლის სარეკომენდაციო პრინციპები და მითითებები ადამიანის უფლებების და ტრეფიკინგის შესახებ, http://www.no-trafficking.org/reach_micro/uniap_ethics_guidelines.pdf; ასევე იხილეთ UNODC-ის ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმძღვანელო: http://www.unodc.org/unodc/en/human-trafficking/electronic-toolkit-to-combat-trafficking-in-persons---index.html#6

## მექანიზმი 10: ტრეფიკინგის მსხვერპლთან ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო პრინციპები

- **1. არ ავნო**
  თითოეულ პიროვნებას და სიტუაციას ისე მოეკიდეთ, თითქოს არსებობს პოტენციური საშიშროება, სანამ არ დამტკიცდება საპირისპირო. არ ჩაატაროთ გასაუბრება, რომელიც დაამძიმებს პირის მდგომარეობას გრძელ თუ მოკლე ვადიან პერსპექტივაში.
- **2. იცოდეთ თქვენი თემა და შეაფასეთ შესაბამისი რისკი**
  ინტერვიუს ჩატარებამდე გაიაზრეთ ტრეფიკინგთან და თითოეული პირის საქმესთან ასოცირებული რისკები.
- **3. მოამზადეთ ინფორმაცია მიმართვის შესახებ – ნუ დაპირდებით ისეთ რამეს, რისი შესრულებაც არ შეგიძლიათ**
  მზად იყავით პიროვნებას მიაწოდოთ ინფორმაცია შესაბამის სამართლებრივ, ჯანმრთელობის, თავშესაფრის, სოციალური დახმარების და უსაფრთხოების საკითხების შესახებ მის მშობლიურ და ადგილობრივ ენაზე.
- **4. ადეკვატურად შეარჩიეთ და მოამზადეთ თარჯიმნები და თანამშრომლები**
  ჯეროვნად შეაფასეთ თარჯიმნების, თანამშრომლების და სხვათა დაქირავებასთან დაკავშირებული რისკები და დადებითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ შერჩევისა და ტრენინგის ადეკვატური მეთოდები.
- **5. უზრუნველყავით ანონიმურობა და კონფიდენციალურობა**
  დაიცავით ინფორმაცია რესპოდენტის ვინაობის შესახებ და კონფიდენციალურობა მთელი ინტერვიუს განმავლობაში.

- **6. მოიპოვეთ პირის ინფორმირებული თანხმობა**
  დარწმუნდით, რომ თითოეულ რესპონდენტს კარგად ესმის ინტერვიუს შინაარსი და დანიშნულება, ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებული გეგმები, მათი უფლება უპასუხოდ დატოვონ კითხვები, შეწყვიტონ ინტერვიუ და განსაზღვრონ, როგორ იქნება ინფორმაცია გამოყენებული.
- **7. მოუსმინეთ და პატივი ეცით თითოეული ადამიანის მიერ თავისი სიტუაციისა და უსაფრთხოების რისკების მისეულ შეფასებას**
  გახსოვდეთ, რომ თითოეულ ადამიანს სხვადასხვა პრობლემა ექნება და მისეული შეფასება შესაძლოა განსხვავდებოდეს სხვათა შეფასებისგან.
- **8. ნუ მოახდენთ გამოკითული პირის ხელახალ ტრავმირებას**
  ნუ დასვამთ ისეთ შეკითხვებს, რომელიც გამოიწვევს ემოციურ პასუხს. მზად იყავით ადეკვატურად გამოეხმაუროთ პირის მწუხარებას და ხაზი გაუსვით მის ძლიერ მხარეებს.
- **9. მზად იყავით საგანგებო ჩარევისთვის**
  მზად იყავით რეაგირებისათვის, თუ პირი განაცხადებს, რომ აშკარა საშიშროების ქვეშ არის.
- **10. სწორად გამოიყენეთ შეგროვებული ინფორმაცია**
  გამოიყენეთ ინფორმაცია თითოეული პირის სასარგებლოდ და იმგვარად, რომ ხელი შეუწყოთ სწორი პოლიტიკისა და მოქმედების განხორციელებას განსაკუთრებით ტრეფიკინგის მსხვერპლისათვის.

*წყარო: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მასალებიდან (2003 წელი)*

- მნიშვნელოვანია დავიცვათ ინფორმაციის შეგროვებაში ჩართულ თანამშრომელთა **კონფიდენციალურობა.** ეს შესაძლებელია განხორციელდეს კონფიდენციალურობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით. თუმცა, პირს უნდა

ახსოვდეს, რომ კონფიდენციალურობა იზღუდება, როდესაც საქმე გვაქვს სასამართლო პროცედურებთან და თანამშრომელს შეიძლება მოუწიოს მოწმის სტატუსით გამოსვლა.

- არც ტრეფიკინგის მსხვერპლი პირები და არც ადამიანით მოვაჭრეები არ არიან ერთგვაროვანი ჯგუფები. მონაცემთა ანალიზისთვის და სტრატეგიების, პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების ჩამოყალიბებისთვის შეგროვებული ინფორმაცია დიფერენცირებული უნდა იყოს. ანუ მან უნდა ასახოს კონკრეტული **კატეგორიები,** როგორიცაა მამაკაცი/ქალი, ასაკი, ეროვნება, ეთნიკური წარმომავლობა, შეზღუდულუნარიანობა. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა მონაცემთა და საქმეთა გამეორება, განსაკუთრებით ანონიმურ ინფორმაციასთან დაკავშირებით. მონაცემთა შეგროვების დროს გაითვალისწინეთ გამეორების საშიშროება. დასახელებულ კატეგორიებში ინფორმაციის გადამოწმება დაგეხმარებათ შესაძლო გამეორების აღმოჩენაში.

არჩეულ დაწესებულებებში და/ან ორგანიზაციებში კონკრეტულ ინდიკატორებზე ან ინდიკატორთა ჯგუფზე ანგარიშის გაკეთებაზე პასუხისმგებელმა პირმა **რეგულარულად (მაგალითად, კვარტალურად) უნდა შეავსოს ანგარიში მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ** შესაბამისი მონაცემებით და **წაუდგინოს წინასწარ განსაზღვრულ ეროვნულ დაწესებულებას/პასუხისმგებელ პირს** (მაგალითად, საკოორდინაციო საბჭოს), შეაგროვოს და შეარჩიოს მონაცემები მონიტორინგის წლიური ანგარიშისათვის.

| მექანიზმი 11: | **მონიტორინგის მიმდინარეობის ანგარიში – ნიმუში.** |
|---|---|
| მონიტორინგის ცხირლებისთვის იხილეთ ნაწილი VII | |

**ყურადღება:** რადგან მონაცემთა შეგროვების პროცესში სხვადასხვა მონაწილეები არიან ჩართული (სამინისტროები, პოლიცია, სოციალური სამსახურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სასაზღვრო პოლიცია და სხვა), მნიშვნელოვანია, რომ ა) შეგროვებული ინფორმაცია ეფუძნებოდეს ერთსა და იმავე განსაზღვრებებს და ვარაუდებს;

ბ) ინფორმაცია შეგროვდეს შეძლებისდაგვარად ერთი და იმავე ფორმით (მაგალითებისა და ნიმუშებისთვის იხილეთ IOM/FMIA 2009); გ) მონიტორინგისთვის შეგროვებული ინფორმაცია, თუკი შესაძლებელია, შედიოდეს ეროვნულ მონაცემთა ბაზაშიც; დ) მონაცემთა შეგროვება კარგად წარმართული და კოორდინირებული იყოს, როგორც მონიტორინგის მუდმივი და მიმდინარე პროცესი, რომელიც მიმართულია მონაცემთა მუდმივი გაუმჯობესებისკენ. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაფორმდეს ურთიერთგაგების მემორანდუმი ინფორმაციის შემგროვებელ დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან, რომელშიც განსაზღვრული იქნება კონკრეტული დავალებები, ვადები და მოვალეობები.

## როდის

მონაცემთა შეგროვება თანმიმდევრული პროცესია. შეგროვებული ინფორმაციის ჩაბარების (მაგალითად, მიმდინარეობის კვარტალურ ანგარიშში) წინასწარ განსაზღვრული ვადა ხელს უწყობს მდგრადობას და პასუხისმგებლობის შეგრძნებას. მონიტორინგის მიმდინარეობის ანგარიშის ჩაბარება დამოკიდებულია მონიტორინგისა და შეფასების გეგმაში დაწესებულ ვადებზე. თუ საქართველო შეინარჩუნებს კვარტალური ანგარიშების მომზადების წესს, ეს ნიშნავს ანგარიშის ყოველკვარტალურად წარდგენას ცენტრალური საკოორდინაციო ორგანოს - საკოორდინაციო საბჭოსთვის.

## ვინ

- ყველა დაინტერესებული მხარე, რომლებიც პასუხისმგებელია მონიტორინგისა და შეფასების გეგმაში მონაცემთა წყაროსთვის და ინდიკატორებისთვის მონაცემთა შეგროვებაზე.
- საკოორდინაციო საბჭო (მდივანი) ან მონაცემების შეგროვებაზე, კოორდინაციასა და მართვაზე პასუხისმგებელი შესაბამისი პირი.

# განხორციელების ეტაპის ძირითადი კითხვები და ნაბიჯები

| კითხვები | ნაბიჯები |
|---|---|
| იცნობენ თუ არა მონაცემთა რეგულარულად შეგროვების პროცესში ჩართული მონაწილეები ინფორმაციის დაცვის შესაბამის სტანდარტებს და სამართლებრივ მნიშვნელობას? | თუ მათ ეს ცოდნა არ გააჩნიათ, დაატრენინგეთ ისინი და აამაღლეთ მათი ცოდნა. შესაძლებლობის ფარგლებში იმუშავეთ სტანდარტიზებული ნიმუშებით და/ან განიხილეთ ისინი სამუშაო ჯგუფში. |
| წარმოადგენს თუ არა ყველა პასუხისმგებელი პირი მიმდინარე ანგარიშებს? | თუ არ ხდება მიმდინარე ანგარიშების დროული წარდგენა, შესაძლებელია, დარიგდეს სია ინფორმაციის წარმოდგენის მდგომარეობის შესახებ. |
| საჭიროა თუ არა მონაცემთა შეგროვების კოორდინირება? | სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შეგროვებული მონაცემები საჭიროებს კოორდინაციას და ამ დაწესებულებებს შორის კავშირს. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო საბჭომ შესაძლოა ხელი შეუწყოს მსგავს თანამშრომლობას და დიალოგს. |
| დაგეხმარებათ თუ არა მონიტორინგში ქვეყნებს შორისი ან რეგიონალური თანამშრომლობა? ასეთ შემთხვევაში, ვისთან ითანამშრომლებდით? | რადგან ტრეფიკინგი საერთაშორისო პრობლემაა, გაითვალისწინეთ და განახორციელეთ საერთაშორისო თანამშრომლობა, კერძოდ მონაცემთა შეგროვების სფეროში (ეს განსაკუთრებით ეხება იდენტიფიცირებული მსხვერპლებისა და რეპატრიაციის შემთხვევებს). ამასთან ერთად, მონაწილეობა მიიღეთ მონაცემთა შეგროვების ჰარმონიზებისა და ინფორმაციის გაცვლის ღონისძიებებში ეუთოს სამოქმედო ტერიტორიაზე. |

## გ) ანგარიშგების ფაზა

### რა

ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში შეიძლება მომზადდეს სხვადასხვა სახის ანგარიშები განსხვავებული ვადებით:

(1) მონიტორინგის მიმდინარე ანგარიში (წელიწადის განმავლობაში, მაგალითად, კვარტალური ან წელიწადში ორი ანგარიში)

(2) წლიური ანგარიში (შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ)

(3) მიმოხილვის და/ან შეფასების ანგარიში

(4) საერთაშორისო ანგარიში

## როგორ

(1) მონიტორინგის მიმდინარე ანგარიში (წელიწადის განმავლობაში, მაგალითად კვარტალურად)

ცალკეული დაწესებულებების მიერ მოწოდებული მიმდინარე ანგარიშები ერთად უნდა იქნას შენახული და გაანალიზებული მიღების დროს. სურვილის მიხედვით, შეიძლება შეიქმნას რეგულარულად მისაღები მონაცემების ბაზა. თუმცა უსაფრთხოების თვალსაზრისით, მონაცემთა ადმინისტრირებაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ მონაცემები ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელი პირის მიერ იქნას გაანალიზებული.

მიღებული მონაცემები უნდა გამოვიყენოთ ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორცილებისთვის და საჭიროების შემთხვევაში, გეგმის ნაკლოვანებებზე რეაგირებისთვის. მონიტორინგის მიმდინარე ანგარიშით შეიძლება სირთულეების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება. ეს აჩვენებს, რომ გარკვეულ პირობებში, ანგარიშების ფაზა მნიშვნელოვნად ემთხვევა განხორციელების ფაზას.

(2) წლიური ანგარიში

პარლამენტის, მინისტრთა კაბინეტის, პრეზიდენტის ან სხვა უწყებისა თუ თანამდებობის პირისადმი ანგარიშვალდებული სტრუქტურის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების წლიური ანგარიში შეიძლება ზოგჯერ დაემთხვეს ეროვნული მომხსენებლის მიერ მომზადებულ ზოგად წლიურ ანგარიშს. ამ შემთხვევაში ანგარიში კომბინირებული უნდა იყოს. ამიტომ, მონიტორინგის წლიური ანგარიშის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განხორციელებულ ღონისძიებათა შეფასების ზოგად ნაწილს, ახალ ტენდენციებს, რაც გულისხმობს ნებისმიერი ცვლილების ასახვას პრობლემის ფარგლებში: ადამიანით მოვაჭრის საქმიანობასთან (გადაბირება, მარშრუტე-

ბი, ექსპლუატაციის საშუალებები, და სხვა) ან მსხვერპლებთან დაკავშირებული ცვლილებები (უმწეობა, ხელახალი ტრეფიკინგი, სქესი, ასაკი, გეოგრაფიული არეალი ან ეთნიკური წარმომავლობა). ასევე მნიშვნელოვანია და სასურველია შესული იყოს ანგარიშში ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ანალიზი, საერთაშორისო სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობა და ა.შ.

მონიტორინგის წლიური, კომბინირებული ანგარიშის ერთ-ერთი ნაწილია ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების გადახედვა მისი შედეგების დონეზე. იგი გადმოსცემს და აფასებს შედეგებს და მიღწევებს. მიმდინარეობის ანგარიშები თან ერთვის მონიტორინგის წლიურ ანგარიშებს, რადგან ის წარმოადგენს მონაცემთა საფუძველს და იძლევა საშუალებას, შეფასდეს როგორ ხორციელდება სამოქმედო გეგმა და საჭიროა თუ არა მასში ცვლილებების შეტანა.

ამ ანგარიშის მომზადებისას უნდა გაანალიზდეს ინფორმაცია მიმდინარეობის შესახებ და განვიხილოთ ისინი უფრო ფართო პერსპექტივაში. თუ შესაძლებელია, მონიტორინგის წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი უნდა ცდილობდეს დაინტერესებული მხარეთა ფართო ჯგუფის მხრიდან მაქსიმალური წვლილის გაღებას (ეროვნული სამუშაო ჯგუფისა და საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა ანგარიშში შესატანი თემების შესახებ მის ჩაბარებამდე 2 თვით ადრე). თუ შესაძლებელია, ეცადეთ მონიტორინგის წლიური ანგარიში საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს (მაგალითად, ვებ გვერდების მეშვეობით).

| მექანიზმი 12: | მონიტორინგის წლიური ანგარიში – ნიმუში. |
|---|---|
| იხილეთ ნაწილი VII მონიტორინგის ცხრილებთან დაკავშირებით და მოარგეთ თქვენს სიტუაციას და საჭიროებებს. | |

### (3) მიმოხილვის და/ან შეფასების ანგარიშის გავრცელება

ეროვნული სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული მიმოხილვის და/ან შეფასების ანგარიში ფართოდ უნდა გავრცელდეს და ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისთვის.

### საერთაშორისო ანგარიში

ანგარიშში არის ნაწილები, რომელიც ეხება შემდეგ საერთაშორისო დოკუმენტებს – CEDAW (ქალთა ყველა სახის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ კონვენციის), ბავშვთა უფლებების კონვენცია, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ გაეროს კონვენცია და ადამიანით, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის დამატებითი ოქმის შესახებ, რომლებიც მოითხოვენ ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი პასუხისმგებელი პირის (როგორიცაა მაგ. საკოორდინაციო საბჭო ან მისი თავმჯდომარე) მიერ. სხვადასხვა ქვეყნებში ასეთი ანგარიშების განვითარებისა და წარდგენის განსხვავებული პროცედურები არსებობს. თუმცა აქ ისაა მნიშვნელოვანია, რომ საკოორდინაციო საბჭო წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში, რაც ხელს უწყობს რეგულარულ მონიტორინგს და ანგარიშგებას. თუ დანიშნულია ეროვნული მომხსენებელი, უნდა განისაზღვროს მისი როლი (საერთაშორისო) ანგარიშგებაში.

## როდის

ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ანგარიშებისათვის სხვადასხვა ვადები არის დაწესებული:

- **მონიტორინგის მიმდინარე ანგარიშის** წარდგენის ვადა დაფიქსირებულია მონიტორინგის გეგმაში (მაგალითად კვარტალური).
- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების **წლიური ანგარიშის** წარმოდგენის ვადად განსაზღვრულია წლის კონკრეტული დრო.
- **შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების შესახებ ანგარიში** ჩვეულებრივ 4 წელიწადში ერთხელ კეთდება. მაგალითად, CEDAW (ქალთა ყველა სახის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ კონვენციის) შესახებ ანგარიში საქართველომ უნდა წარადგინოს 2011 წლის ნოემბერში.

## ვინ

- კვარტალური ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები დასახებული არიან მონიტორინგისა და შეფასების გეგმაში.
- წლიური ანგარიშის მომზადება (პარლამენტის, მთავრობის და/ან პრეზიდენტისათვის), როგორც წესი, ქვეყანაში ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის და/ან ეროვნული მომხსენებლის მოვალეობაა. ის უნდა გაერთიანდეს ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების სტატუსის შესახებ ანგარიშთან.
- ეროვნულმა მომხსენებელმა/კოორდინატორმა უნდა წარუდგინოს საკუთარი მოსაზრება საერთაშორისო ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირს.

## ანგარიშგების ფაზის ძირითადი კითხვები და ნაბიჯები

| კითხვები | ნაბიჯები |
| --- | --- |
| როგორ შევინახოთ ინფორმაცია მიმდინარე ანგარიშის შესახებ? | გადაწყვიტეთ, როგორ შეინახოთ მიმდინარე ანგარიშების შესახებ ინფორმაცია ცენტრალიზებულად და უსაფრთხოდ (მაგალითად, ჩამოაყალიბეთ მონაცემთა ერთიანი ბაზა წლიური ანგარიშისთვის) |
| რა დასკვნებს შეიცავს მიმდინარე ანგარიშები გეგმის განხორციელების სტატუსის შესახებ? | გაანალიზეთ (საკოორდინაციო საბჭო) განხორციელების სტატუსთან დაკავშირებით მიმდინარე ანგარიშების დასკვნები. საჭიროების შემთხვევაში, იმოქმედეთ, თუ მონაცემები განხორციელების პროცესში არსებულ სირთულეებს ასახავენ. |
| რა მიმართულებებზე მიუთითებს ინფორმაცია ტრეფიკინგთან ბრძოლის სამ სხვადასხვა სფეროში? არის თუ არა ადამიანით ვაჭრობის სფეროში სიახლეები, რაც საკანონმდებლო მოქმედებას, აღმასრულებლის სხვაგვარ ჩართვას, მონაწილეების ახალ ფენომენზე დატრენინგებას მოითხოვს? | ასახეთ აღმოჩენილი სიახლეები მონიტორინგის წლიურ ანგარიშში. საჭიროების შემთხვევაში, განიხილეთ ეს დაინტერესებულ პირთა ფართო ჯგუფთან შეხვედრაზე, საერთო მოსაზრების და კონსენსუსის მისაღწევად. |

| | |
|---|---|
| **როგორ დავრწმუნდეთ, რომ ინფორმაცია ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების სტატუსის შესახებ ხელმისაწვდომია?** | ეროვნულ დონეზე შესაძლებლობებისა და პროცედურების გათვალისწინებით, ფართო საზოგადოებას უნდა მიეცეს საშუალება ხელი მიუწვდებოდეს მონიტორინგის წლიურ ინფორმაციაზე. |
| **რა ინფორმაციის წარდგენა უნდა მოხდეს საერთაშორისო კონვენციებთან დაკავშირებით და როდის?** | უზრუნველყავით შესაბამისი ინფორმაციის ასახვა CEDAW (ქალთა ყველა სახის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ კონვენციის), ბავშვთა უფლებების კონვენციის, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გაეროს კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის შესახებ. |

## დ) ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ეროვნული სამოქმედო გეგმის მიმოხილვა

### რა

ეროვნული სამოქმედო გეგმების მიმოხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის არ არსებობისას, რადგან ამ შემთხვევაში ის ადამიანით ვაჭრობის საკითხზე ქვეყნის სტრატეგიულ და სამოქმედო პასუხს გამოხატავს. მიმოხილვის ვადებს სამოქმედო გეგმის ხანგძლივობა განაპირობებს და ისინი განსხვავდება ერთმანეთისაგან (მაგალითად საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა მიმდინარეობს 2 წლის მანძილზე - 2009-2010 წწ, როცა სხვა სამოქმედო გეგმები 4 წელი გრძელდება). მიმოხილვა ხშირად აღიქმება, როგორც შეფასება. მაგრამ, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმების შემთხვევაში, მიმოხილვა გულისხმობს მთლიანი გეგმის ანალიზს, მისი მიზნების, შედეგებისა და შედეგის მიღწევისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ქმედითობის ანალიზს. ამიტომ მიმოხილვა შეეხება არა იმდენად სამოქმედო გეგმის საბოლოო მიღწევებს, რამდენადაც გეგმის შესაბამისი ადაპტაციისაკენ უფროა მიმართული წარმოშობილი ტენდენციების, ფაქტების და ცვლილებების შესაბამისად. მიმოხილვის მიზანია საბოლოო ჯამში ადეკვატურად მოარგოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სისტემა ამ სფეროში არსებულ სიახლებს.

ამიტომაც, მიმოხილვა სიღრმისეულად უნდა შეეხოს შემდეგ საკითხებს:

- რა ზოგადი განვითარებებია ადამიანით ვაჭრობის სფეროში?

- არის თუ არა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შედეგები აქტუალური ტრეფიკინგის სფეროში ზოგადი ტენდენციების გათვალისწინებით?
- მოიცავდა თუ არა ეროვნულ სამოქმედო გეგმა ყველა საჭირო სფეროს (მარეგულირებელი სისტემა, აღკვეთა, დაცვა და სამართლებრივი დევნა)?
- შედეგების მიღწევა
    - ზოგადი შეფასება და აღწერა: რა შედეგები იქნა მიღებული, რა გავლენა მოახდინეს?
    - რა შედეგებს მივაღწიეთ და რა ხარისხით (საბაზისო ინფორმაციასთან შეფარებით)?
    - რა დასკვნები მივიღეთ და როგორ იქნა ისინი გამოყენებული შედეგების მისაღწევად?
- რა ხელშემწყობი/დამაბრკოლებელი ფაქტორები იყო ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში და შედეგების მიღებაში?
- რა მნიშვნელოვანი გაკვეთილები მივიღეთ (შინაარსი, განხორციელება, განხორციელების სტრუქტურები და წყაროები)?
- მიღებული უნდა იქნას თუ არა ეროვნული სამოქმედო გეგმა არსებული ფორმით, ან უნდა შეიცვალის თუ არა?

მიმოხილვის ანგარიში უნდა შედგეს ამ საკითხების გათვალისწინებით. ის უნდა გავრცელდეს და გახდეს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.

## როგორ

გადახედვა ზოგადად ერთობლივი პროცესი უნდა იყოს. მასში უნდა ჩაერთონ სტრატეგიული გადაწყვეტილების მიმღები პირები, ისევე როგორც ეროვნული სამოქმედო გეგმის განმახორციელებლები.

ერთობლივი მიმოხილვა

მიმოხილვის ინიცირება და მართვა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეროვნული სისტემის უმაღლესი საკოორდინაციო სტრუქტურის (საკოორდინაციო საბჭო საქართველოში) მიერ უნდა მოხდეს. თუმცა ის უნდა განხორციელდეს ერთობლივი მიდგომით და მასში უნდა ჩაერთოს დაინტერესებულ პირთა ფართო ჯგუფი (საკოორდინაციო საბჭო, მოწვეულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად საქართველოში). პროცესს ერთი ან ორი გამოცდილი მოდერატორი უნდა წარმართავდეს.

მიმოხილვის შემადგენელი საკითხები უნდა განიხილონ და დააფიქსირონ სამუშაო ჯგუფებში, რათა სიტუაციის შეფასება მოხდეს უმრავლესობით და კონსენსუსით. ამასთან, მიმოხილვა ყველა ჩართული პირისთვის სასწავლო პროცესად ჩაითვლება.

ყველა შედეგი ანგარიშში ფიქსირდება, რომელიც თავდაპირველად შენიშვნებისთვის და დამატებებისთვის იგზავნება, ხოლო შემდეგ ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოებისთვის.

თუ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული ეროვნული დაწესებულებები და სტრუქტურები მხარს არ უჭერენ ასეთ ერთობლივ შეფასებას, შეიძლება განხილულ იქნას ცენტრალიზებული მიმოხილვა. მასში მხოლოდ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უმაღლესი წარმომადგენლები, სტრატეგიული პასუხისმგებელი პირები უნდა ჩაერთონ და არა ოპერატიული განმახორციელებლები. თუმცა, განხილვები და მოსაზრებების გაზიარება იგივენაირად უნდა მოხდეს; განსაზღვრული საკითხები უნდა განიხილონ შესაბამისი ჯგუფის შეხვედრებზე, რომელიც იმგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ ასახავდეს პრევენციის, დაცვის და დევნის და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. განმახორციელებლების ჯგუფის ერთ წარმომადგენელს მაინც უნდა მიეცეს მონაწილეობის ან ეროვნული სამოქმედო გეგმის ადეკვატურობის და შესაძლო გაუმჯობესების შესახებ აზრის გამოთქმის საშუალება. მიმოხილვის ამ შედარებით პატარა ჯგუფის შედეგები უნდა წარედგინოს დაინტერესებულ მხარეებს შენიშვნებისა და დამატებებისთვის. მიმოხილვის საბოლოო ანგარიში უნდა იყოს საჯარო.

## როდის

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიმოხილვა უნდა მოხდეს ყოველ ორ წელიწადში. იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება შუალედური და საბოლოო შეფასება, ის ჩაანაცვლებს მიმოხილვის პროცესის საჭიროებას.

## ვინ

ქვეყანაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა პასუხისმგებელია მიმოხილვის წარმართვაზე, ზედამხედველობაზე და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად მის განახორციელებაზე. საქართველოში ეს პასუხისმგებლობა საკოორდინაციო საბჭოს ეკისრება. ეს სტრუქტურები განიხილავენ პროცესში ჩართულ ყველა დაინტერესებული მხარის მიერ წამოჭრილ საკითხებს. ამ პროცესში ეროვნული მომხსენებლის როლი (თუკი დანიშნულია) განსაზღვრული უნდა იყოს. მას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს და რეკომენდაციები მოამზადოს მიმოხილვის პროცესში.

## ეროვნული სამუშაო გეგმის მიმოხილვის ძირითადი კითხვები და ნაბიჯები

| კითხვები | ნაბიჯები |
|---|---|
| რა უნდა გააკეთოთ მიმოხილვის ჩასატარებლად და ვინ უნდა მიიღოს მასში მონაწილეობა? | დაიწყეთ მომზადება მიმოხილვისთვის; განსაზღვრეთ ფარგლები, ვადები და შესაბამისი მონაწილეები. |
| მიმოხილვის დროს განიხილეთ შემდეგი საკითხები: | |
| რა ახალი მიმართულებებია ადამიანით ვაჭრობის სფეროში? | განიხილეთ და ასახეთ ტრეფიკინგის სფეროს ტენდენციები და ახალი მიმართულებები. |
| მოიცავა თუ არა გეგმამ ყველა სფერო (მარეგულირებელი სისტემა, პრევენცია, დაცვა, სამართლებრივი დევნა)? | განიხილეთ გეგმა მთლიანობაში, მოიცავა თუ არა მან საჭირო სფეროები ქვეყანაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ. რა აკლია გეგმას? |
| არის თუ არა სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული შედეგები კვლავაც აქტუალური და ადეკვატური? | განიხილეთ შედეგების შესაბამისობა წინა დისკუსიებთან შედარებით. |

| | |
|---|---|
| **რა შედეგები და დასკვნები იქნა გაკეთებული?** | ერთობლივად განიხილეთ შედეგები. ჰქონდა თუ არა მოქმედებას დაუგეგმავი ნეგატიური ზემოქმედება მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფზე? ერთობლივად გაანალიზეთ დასკვნები. |
| **რა იყო ეროვნული სამოქმედო გეგმის ხელის შემწყობი/ხელის შემშლელი ფაქტორები?** | მიიღეთ მეტი ინფორმაცია პირობების და თქვენს სამუშაოზე მათი ზემოქმედების შესახებ. |
| **რა გაკვეთილები მიიღეთ?** | განიხილეთ და გაანალიზეთ სწორად იმოქმედეთ თუ არა. არის თუ არა ინსტიტუციონალური მომზადება ადეკვატური, გქონდათ თუ არა საკმარისი რესურსები და საჭიროებისამებრ დაიხარჯა თუ არა ისინი? რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო სხვაგვარად, რამ გამოიწვია დადებითი შედეგები და შეიძლება თუ არა მათი სხვაგან განმეორება? |
| **რა გზით უნდა წავიდეთ მომავალში?** | მიღებული გაკვეთილებიდან გამომდინარე გადასინჯეთ და შეცვალეთ სამოქმედო გეგმა. გადაწყვიტეთ და დაგეგმეთ შემდგომი ნაბიჯები. |

# VI

# ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შეფასება

VI

# ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შეფასება

## შესავალი

შეფასება შეეხება მთლიანი პროექტის, პროგრამის სტრატეგიის ან პოლიტიკის მიღწევებს და მათ შესაბამისობას და ამის გათვალისწინებით, ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღწევების, შედეგების და შესაბამისობის შეფასებას ადამიანით ვაჭრობასთან მიმართებაში. ზოგადად, შეფასებას შეიძლება სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდეს,როგორიცაა პროექტის, პროგრამის, სტრატეგიის თუ პოლიტიკის გაუმჯობესება, ახლის შესწავლით პროექტის, პროგრამის, სტრატეგიის თუ პოლიტიკის ახალი ფაზის გაგრძელების ხელის შეწყობა და/ან გახარჯული რესურსების ჩათვლა.

შეფასება, ისევე როგორც გადახედვა და მონიტორინგი, უნდა ეფუძნებოდეს ერთობლივ მიდგომას და მასში ჩართული უნდა იყოს ყველა შესაბამისი დაინტერესებული პირი და თუ შესაძლებელია, შერჩეული ბენეფიციარები. ეს საშუალებას იძლევა დაინახო საერთო მიღწევები, შედეგები და მიღწეული ცვლილებები, და ასევე აჩენს თანამონაწილეობის შეგრძნებას, ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალეობას ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართული ყველა პირისათვის.

## რა

### (1) განსაზღვრეთ ჩასატარებელი შეფასების ფარგლები:

- გარე შეფასება შიდა შეფასებასთან შედარებით
- შუალედური შეფასება საბოლოო შეფასებასთან შედარებით.

### (2) ჩაატარეთ შეფასება

- განსაზღვრეთ შეფასების კომპეტენციის საზღვრები
- შეარჩიეთ შიდა და გარე შეფასებისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტ(ებ)ი
- გაავრცელეთ შეფასების შედეგები
- გამოიყენეთ შეფასების შედეგები შემდგომი მოქმედების გეგმისთვის

## როგორ

### (1) განსაზღვრეთ ჩასატარებელი შეფასების ფარგლები

ადამიანით ვაჭრობის ბრძოლასთან მიმართებაში ეროვნული სამოქმედო გეგმის შეფასების ფორმისა და მისი ჩატარების გადაწყვეტა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული:

- **შეფასების ზოგადი დანიშნულება და მიზნები:** რა არის შეფასების დანიშნულება? გვაქვს თუ არა კონკრეტული შეკითხვები, რომლებზეც გვსურს პასუხის მიღება შეფასების მეშვეობით?

- **გეგმის ხანგძლივობა:** გამართლებულია თუ არა შუალედური შეფასებასა გეგმის ხანგძლივობის გათვალისწინებით?

- **შეფასების გავლენა:** არის თუ არა მოსალოდნელი შედეგი საკმარისად მნიშვნელოვანი შეფასების გასამართლებად? შეიძლება თუ არა საჭირო ინფორმაციის მიღება მიმოხილვის მეშვეობით?

<u>გარე თუ შიდა შეფასება:</u>

გარე შეფასება გულისხმობს ისეთი ექსპერტების ჩართვას, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეროვნულ სამოქმედო გეგ-

მასთან და მის განმხორციელებლებთან და ამგვარად შემოაქვთ გარე პერსპექტივა. თუმცა ამას ფინანსური შედეგებიც აქვს, რადგან საჭირო იქნება გარე შემფასებლების იდენტიფიცირება და მათი მომსახურების ანაზღაურება.

თუ შეფასება გარე რესურსებით უნდა ჩატარდეს, საჭირო იქნება დადგინდეს რამდენად დიდი იქნება შეფასების გუნდი (ერთი ადამიანი თუ რამდენიმე). ამას განაპირობებს შესაფასებელი ეროვნული სამოქმედო გეგმის სიდიდე, მოცულობა და სირთულე.

მაგრამ თუ ტარდება შიდა შეფასება, უნდა შეირჩეს საჭირო უნარისა და პროფილის მქონე შიდა შემფასებლები. შიდა შემფასებლები ასევე აღჭურვილი უნდა იყვნენ ყველა მონაწილის ნდობით. ისინი მკაცრად უნდა დაემორჩილონ წესებს, სახელმძღვანელო კითხვებს და ა.შ., რომლებიც თავად უნდა ჩამოაყალიბონ, როგორც გარე შეფასების ფარგლების შემთხვევაში ხდება (საჭირო ნაბიჯების შესახებ მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ გარე შეფასების ნაწილი).

**ყურადღება:** შემფასებლების შერჩევის დროს მნიშვნელოვანია, რომ ისინი ყველა დაინტერესებული მხარისთვის იყვნენ მისაღები. ეს უნდა მოხდეს გამჭვირვალე და ღია შერჩევის პროცესით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათთვის რთული შეიძლება გახდეს გარკვეული ინფორმაციის, განსაკუთრებით ხარისხობრივი მონაცემების, მიღება შეფასების დროს.

<ins>შუალედური ან საბოლოო შეფასება:</ins>

როგორც ზემოთ განვიხილეთ, ეს დამოკიდებულია გეგმის ხანგძლივობაზე. თუ ეროვნული სამოქმედო გეგმა 2 წლიანია, გადახედვა ადეკვატური ინსტრუმენტი იქნება (მაგალითად საქართველოში), ხოლო თუ ის 4 წლის განმავლობაში მიმდინარეობს, გადახედვა ან შუალედური შეფასება შეიძლება 2 წლის შემდეგ და გეგმის დასრულებისას გავაკეთოთ. თუმცა, ამ გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სისტემის სტრუქტურაზე და რამდენად მოწადინებული არიან განმახორციელებელი სტრუქტურები გააკეთონ დასკვნები ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასებისაგან, რადგანაც შუალედური

შეფასება იძლევა მნიშვნელოვანი დასკვნების და შესწორებების გაკეთების შესაძლებლობას

## (2) ჩაატარეთ შეფასება

გარე შეფასების ჩატარების დროს თქვენ უნდა განახორციელოთ შემდეგი:

- განსაზღვრეთ შეფასების ხანგძლივობა და ვადები;
- მოიძიეთ ფინანსები გარე შეფასების ჩასატარებლად;
- ჩამოაყალიბეთ შემფასებლების დასახული ამოცანები.

შიდა შეფასების განხორციელების დროს, თქვენ უნდა შეასრულოთ შემდეგი:

- განსაზღვრეთ შეფასების ხანგძლივობა და ვადები;
- მოახდინეთ შესაფერისი შიდა კანდიდატების იდენტიფიცირება შეფასების ჩასატარებლად, დარწმუნდით მათ შესაძლებლობებში და დამოუკიდებლობაში;
